საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 11 დეკემბერი 2007 №286 (3209) ფასი 50 თეთრი




კაკა და კახა კალაძე გუშინდელ ვარჯიშზე

## მსოფლიო ქართულს ვერ ნახავს

დღეს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტური იწყება და თბილისის დროით, ღამის ორ საათისთვის კიდევ ხუთი მერვედფინალისტის ჩამოთვლა შეგვეძლება.

იშვიათი შემთხვევაა, დღევანდელ სალიგო დღეს ჩვეულზე ორით ნაკლები თამაში ჩატარდება, რაკილა „მილანის“ ჯგუფმა საქმე წინა კვირაში მოითავა.

მიზეზიც გეხსომებათ: „მილანი“ იაპონიაშია მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე სათამაშოდ და უეფამაც ამად გადასწია მისი ჯგუფის მატჩები ერთი კვირით ადრე.

მილანელები მსოფლიოს საკლუბოზე ზეგ ითამაშებენ იაპონურ „ურავასთან“ ნახევარფინალში. ჩვენ კი გვერჩივნა, რომ „ურავას“ მაგიერ ირანულ „სეპაჰანს“ შეხვედროდა. მიზეზი აქაც უბრალოა: კახა კალაძის და ისპაჰანელი ჯაბა მუჯირის დაპირისპირება გამოვიდოდა.

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე როდის ვნახავთ ორი ქართველის ჯახს...

## ასე ვერაფერს გავხდებით!




## იოლად ასარჩევი საუკეთესო




შარშან ამ დროს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენაზე ბევრი ვიფიქრეთ. წლეულს კი, ალალად ვიტყვით, ყველაფერი იოლი იყო – ასეთად თბილისის „დინამოს“ ახალგაზრდა შემტევი გიორგი მერებაშვილი ვაღიარეთ.

## საქართველო ვარსკვლავის შუქზე

♦ მსოფლიოს თასის აღმოჩენა უდავოდ საქართველოს ნაკრები იყო. არ მეგონა, ქართველებს ამდენი თუ შეეძლოთ...

♦ „ტულონში“, რასაც ჰქვია, კაცები თამაშობენ, ერთმანეთს მშვენივრად ვუგებთ. გია ლაბაძე ჩემი მეგობარია, რომ მითხრა, საქართველოდან მეგობარმა ჟურნალისტმა უნდა დაგირეკოსო, უარის თქმა არც მიფიქრია.

♦ „ქურციკებს“ ძალიან გაუმართლათ, როცა ფინალში გამოფიტული ინგლისი შეხვდათ, მაგრამ ეს მათი ბრალი სულაც არ იყო. ვფიქრობ, სამხრეთ აფრიკამ დაიმსახურა თასის მოგება. სხვა საქმეა, რა და როგორ იქნებოდა, ფინალში ახალი ზელანდია, საფრანგეთი ან ჩვენ რომ შევხვედროდით.

♦ ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, ექვსი ერის რომელიმე გრანდს ჩავარდნა რომ ეწყება, სხვებიც მიჰყვებიან, სამხრეთში კი ყოველთვის არის ერთი მძლავრი ნაკრები. ვფიქრობ, სამხრეთული რაგბი განვითარებაში ერთი ნაბიჯით უსწრებს ჩრდილოურს.



ბაჩო სვანიძის ინტერვიუ ლეგენდარულ მორაგბე ჯორჯ გრეგანთან იხილეთ ხვალინდელ სარბიელში

# იანვარი ცქიტიშვილს



## კლაუს ტოპმიოლერი ქართული ტრანსფერების გადავადებამ გააცეცხლა

**საქართველოს** ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი გერმანულ „კაიზერსლაუტერნს“ გაუჯავრდა. პოპულარული „კიკერის“ ცნობით, ტოპმიოლერი ძალიან გაულიზიანებია იმ ამბავს, რომ „ლაუტერნი“ ფინანსურ კრიზისშია და ამის გამო ვერ ახერხებს ლევან ცქიტიშვილთან კონტრაქტის გაფორმებას.

არადა, თითქოს ყველაფერი მოგვარებული იყო, ცქიტიშვილმა „კაიზერსლაუტერნში“ რამდენჯერმე ივარჯიშა და სამედიცინო შემოწმებაც გაიარა, თუმცა, როგორც გაირკვა, ამ ეტაპზე კლუბს მისი ხელფასის გადასახდელი ფული არ გააჩნია.

„ასე ვერაფერს გავხდებით“ — მოკლედ მოჭრა კლუბის მრჩევლად დანიშნულმა ტოპმიოლერმა და გერმანელი ჟურნალისტები იმასაც ეჭვობენ, რომ თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, ტოპი „კაიზერსლაუტერნს“ საერთოდ დაშორდეს — „რა აზრი აქვს იმ კლუბში მუშაობას, სადაც ელემენტარული პირობები არ არის?!“ — კითხულობენ ჟურნალისტები.

მოკლედ, ცქიტიშვილი შინ ბრუნდება, ტოპმიოლერი კი იმედოვნებს, რომ მის ტრანსფერს იანვარში მაინც დაადგება საშველი.

და ერთიც: ცქიტიშვილის დარად, „კაიზერსლაუტერნში“ ალბათ ველარც ზურაბ მენთეშაშვილი გადავა, ვინც ორიოდ დღის წინ ჩავიდა გერმანიაში.

ვნახოთ, რა იქნება იანვარში...

**ქახა შალამბერიძე**

# დითმარ–ამბები

## ჰიუზმა ხიზანიშვილი აქო, რა აქო



**ზურაბ ხიზანიშვილსა** და „ბლექბერნს“ შორის მოლაპარაკება კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე ერთი კვირაა, დაიწყო და ადვილი შესაძლებელია, მალე ყველაფერი გაფორმდეს.

ბოლო სეზონში გუნდში კრის სამბას მისვლისა და ანდრე ოიერის კარგი თამაშის შედეგად, ხიზანას სათადარიგოთა სკამზე უწევს ჯდომა. მხოლოდ „კარლინგის“ თასზე „პორტსმუთთან“ ითამაშა 90 წუთი და ორჯერაც შეცვლაზე შევიდა — ეს იყო და ეს.

ამის მიუხედავად, ხიზანიშვილი გუნდს რომ სჭირდება, ეს „ბლექბერნის“ მწვრთნელმა მარკ ჰიუზმა საჯაროდ განაცხადა:

„ზურას ველაპარაკე და მივხვდი, რომ შეშფოთებულია. ხიზანიშვილს ამ სეზონში ძალიან ცოტა დრო ეძლევა სათამაშოდ, მას კი, რა თქმა უნდა, მეტი სურს. ვფიქრობ, შევძლებ ზურას გადარწმუნებას და მჯერა, რომ გუნდში დარჩება. მისი საფეხბურთო ცოდნა და სტილი ჩვენთვის მისაღებია. მხოლოდ „პორტსმუთთან“ ოთამაშა სრულად და საკმაოდ კარგადაც. სამბას გამოჩენამ სათამაშო დრო კი შეუმცირა, მაგრამ მომავალში მას გაცილებით მეტი მიეცემა. ხიზანიშვილი ძალიან შრომისმოყვარეა, თავისი ქვეყნის ნაკრების ვიცე-კაპიტანია, ვარჯიშებზე გულმოდგინედ ირჯება და თავის შანსს ელის. მჯერა, ზურა არასდროს მიღალატებს“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მათეს რიგი: ესპანიოლი, ჰამბურგი, დორტმუნდი



**საქართველოს** ნაკრებისა და „მიუნხენ 1860“-ის მცველ მათე ღვინიანიძით „ესპანიოლი“ რომ დაინტერესდა, ადრეც გამცნეთ. ახლა კი 20 წლის ქართველის შეძენა კიდევ ორ გერმანულ კლუბს, „ჰამბურგს“ და დორტმუნდის „ბორუსიას“ სურთ — ეს ინფორმაცია გერმანულმა ვებგვერდმა „სპორტ1“-მა გაავრცელა.

თუმცა სანამ მისი მოსურნე გუნდები რამეს გადაწყვეტენ, ღვინიანიძე უქმობს — ჩვენებურს მუხლის ტრავმა აწუხებს და ბოლო ტურის მატჩიც ამის გამო გამოტოვა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კოსევიჩი გიგიაძის ფასმა გააბრაზა

**ლუგანსკის** „ზარია“ „კრივბასის“ ქართველ თავდამსხმელ ვასილ გიგიაძის გადაბირებით ისევ დაინტერესდა. უფრო სწორად, ეს ლუგანსკელთა თავკაც ალექსანდრ კოსევიჩის სურვილია, რომელიც ჩვენებურს სწორედ „კრივბასში“ წვრთნიდა და გიგიაძემ თავისი საუკეთესო სეზონი იქ გაატარა. კრივოიროგულ კლუბში ოლეგ ტარანის მისვლის შემდეგ კი გიგიაძე ახტირსკის „ნაფტოვიკში“ გაანათხოვრეს, სადაც მას საქმეები ვერ აეწყო. წინა ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა პირველ წრეში გოლის გატანა ვერ მოახერხა და ბოლოს სათადარიგო იყო.

„გიგიაძის საკითხი ისევ ღიაა. „კრივბასთან“ მოლაპარაკებებს ვაგრძელებთ, თუმც მისი ხელმძღვანელობა რეალურ თანხას არ ასახელებს“ — განაცხადა კოსევიჩმა.



შეგახსენებთ: „ზარიაში“ ორი ქართველია — ვლადიმერ ბურდული და გიორგი ციმაკურიძე.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



დავით ბოლქვაძე (მარჯვნივ) „ოლიმპთან“ მატჩში ერთ-ერთი საუკეთესო იყო

# მთავარია ფინალი! მერე კი ყველაფერს თავისი წესი აქვს...

ბოლო წლებში ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელთაგან ერთ-ერთ გამორჩეული „ამერის“ ნახევარმცველი დავით ბოლქვაძეა. გუშინწინ „ამერმა“ საქართველოს ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპი“ 4:1 რომ დაამარცხა და ზედიზედ მეორედ მოიგო „ფოლკსვაგენის“ სუპერთასი, ამაში ბოლქვაძემ საკმაო წვლილი შეიტანა...

— რას იტყვი „ოლიმპთან“ მატჩზე?

— ყველამ ძალიან მოვინდომეთ, ვიშრომეთ, ვიბრძოლეთ და ვფიქრობ, დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ჩვენთვის ყველა ტიტულს დიდი მნიშვნელობა აქვს და მიხარია, რომ კიდევ ერთი თასით გავამდიდრეთ „ამერის“ კოლექცია.

— ასეთ დამაჯერებელ გამარჯვებას ალბათ ბევრი არ ელოდა...

— გეთანხმებით, ძნელად იფიქრებდა ვინმე, რომ ასეთი უპირატესობით მოვიგებდით, თუმც თამაშმა ყველას დაანახვა, რომ იმ დღის „ამერი“ ძალიან მოტივირებული იყო და, რა თქმა უნდა, იღბალიც წაგვეხმარა.

— გრიგოლ დოლიძემ ჰეთ თრიქი გააკეთა. იმ სამი გოლიდან კი ორი შენი პასით იყო...

— დოლიძემ ბრწყინვალე გოლები გაიტანა და განსაკუთრებით მესამე იყო მშვენიერი. სიმართლე გითხრათ, დოლიძისგან ასეთ ტექნიკურ გოლს არც ველოდი.

— „ამერმა“ უკვე ოთხი თასი მოიპოვა. სათასო მატჩებისთვის განსაკუთრებულად ემზადებით თუ რა ხდება?

— ვერ ვიტყვი, რომ რამე განსაკუთრებული მზადება გვაქვს, მაგრამ შედეგიდან მართლა ასე ჩანს.

— წლეულს ეროვნულ ჩემპიონატში კი არადამაჯერებლად თამაშობთ. შენი აზრით, ეს რისი ბრალია?

— როგორ გითხრათ, თავიდანვე ცუდად დავიწყეთ... ასეთმა სტარტმა ჩვენზე გავლენა იქონია და...

— ჩემპიონობის შანსი, ფაქტობრივად, დაკარგული გაქვთ. რომელი ადგილისთვის იბრძოლებთ?

— ნაღდად შეგვწევს ძალა, მესამე ადგილზე გავიდეთ.

— და, ცხადია, ზედიზედ მესამედ საქართველოს თასის მოგებასაც აპირებთ...

— მთავარია, ფინალამდე მივიდეთ და შემდეგ, როგორც წესი, თასი ჩვენი იქნება.

**ნუკრი ლოლაძე**

# ელიავა უკეთესზე ფიქრობს და მიდის

**საქართველოს** ნაკრების მცველი ზაალ ელიავა ალბათ მალე დატოვებს რიგის „სკონტოს“. ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთელს ამის დიდი სურვილი აქვს და უკვე სასურველ კლუბსაც ეძებს.

ელიავა ჯერაც ამოვარდნილ მხარს მკურნალობს, თუმცა, როგორც შევიტყვეთ, მალე ბოლომდე გამოჯანმრთელდება და ლატვიასაც გაეცლება.

სიმართლე ითქვას, ალბათ უკვე დროც არის, ელიავამ უკეთეს გუნდზე იფიქროს...

**ოთარ მხეიძე**

**ინგლისი**

ასოციაციის თასი
II ეტაპი. გადათამაშება

**სუონსი 6:2 ჰორშემი**

**გერმანია**

II ბუნდესლიგა. XVI ტური

**ფრაიბურგი 1:3 გლადბახი**

**საფრანგეთი**

II დივიზიონი. XVIII ტური

**ლე ავრი 0:0 მონპელიე**

**ჩეხეთი**

გამბრინუს ლიგა
XVI ტური

**სპარტა 3:1 პლზენი**

# როცა იმას აკეთებ, რაც გინდა... ცუდია

## გიორგი მერებაშვილმა წრე საუკეთესოდ შემოხაზა

შარშან ამ დროს საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენაზე ბევრი ვიფიქრეთ, წლეულს კი, ალალად ვიტყვით, ყველაფერი იოლი იყო — თბილისის „დინამოს" 20 წლის შემტევი გიორგი მერებაშვილი ვაღიარეთ. თავი დავანებოთ იმას, რომ შემტევი ნახევარმცველისთვის 13 მატჩში გატანილი 8 გოლი საკმაოა: მერებაშვილის თამაში ამ სტატისტიკაზე მომხიბვლელია. გუშინ გიორგი რედაქციაში ვისტუმრეთ და, ვფიქრობთ, საინტერესო საუბარიც გამოგვივიდა...



— პირველ რიგში, დიდ მადლობას ვუხდი „სარბიელს" ჩემი აღიარებისთვის. ჩემი საუკეთესოობა მარტო ჩემი დამსახურება არ არის — გვერდში მიდგანან „დინამოს" მწვრთნელები, ფეხბურთელები, ხელმძღვანელები. მათი მადლიერი ვარ. სეზონის დაწყებამდე ამაზე არ ვფიქრობდი, ჩემპიონატის მსვლელობისას კი მართლაც კარგად წამივიდა თამაში და შეიძლება ითქვას, ველოდი კიდეც, მე რომ დამასახელებდით.

**— შარშანაც კარგი სეზონი გქონდა, თუმც წლეულს „დინამოს" ლიდერად იქეცი. როგორ ფიქრობ, რის ხარჯზე?**

— გამოცდილება მომემატა, თანაც, როცა გრძნობ, რომ მწვრთნელი და თანაგუნდელები გენდობიან, სტიმული გემატება. ფეხბურთშიც და ცხოვრებაშიც იმას არაფერი სჯობია, როცა გაფასებენ, შრომას არ გიკარგავენ...

**— თანაგუნდელები ახსენე და, შეგიძლია, რომელიმე პარტნიორი გამოარჩიო? ანუ, ვისთანაც ყველას მეტად გიადვილდება თამაში...**

— პირველ წრის ბოლო შვიდი მატჩი მარცხენა ნახევარმცველად ვითამაშე და ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაა მარცხენა მცველი, ვინ გიადვილებს საქმეს — ამიტომ რომან დობეშს გამოვარჩევ. თუმცა, რა თქმა უნდა, ყველას კარგად ვეწყობი.

**— ხშირად ისმის კითხვა: წლევანდელი „დინამო" უფრო ძლიერია თუ შარშანდელი სეზონისა?**

— გასული სეზონის მერე სანდრო იაშვილი წავიდა, რომელიც ჩვენთვის მართლაც დიდი ძალა იყო, თუმც, ჩემი აზრით, ახლა უფრო შეკრული გუნდი ვართ და ბევრს უთქვამს, რომ უკეთეს ფეხბურთსაც ვთამაშობთ.

**— ეს, პირველ რიგში, მწვრთნელის დამსახურებაა: დუშან უჰრინს მოკლედ როგორ დაახასიათებდი?**

— უჰრინი ძალიან მომთხოვნია, ვარჯიშებზე ბოლომდე იხარჯება და იგივეს ითხოვს ჩვენგან. ცდილობს, არც ერთი პატარა დეტალი არ გამორჩეს. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ფიზიკურ მომზადებას.

**— პირველ წრეში შენს რომელ მატჩს და რომელი გოლს გამოარჩევდი?**

— „ლოკომოტივთან" 2:1 რომ მოვიგეთ, ორივე მე გავიტანე. აქედან გადამწყვეტი ბურთი თამაშის დასრულებამდე 7 წუთით ადრე შევაგდე.

**— „ზესტაფონთან" მოგებამ „დინამო" ლიდერად დააბრუნა. როგორ ფიქრობ, „ზესტაფონის" გარდა, ჩემპიონობაში ვინმე შეგეცილებათ?**

— რატომაც არა?! „ვიტ ჯორჯია" კარგი გუნდია, თითქმის ყველა ლიდერს მოუგო და მხოლოდ 5 ქულით ვუსწრებთ.

**— სხვა ქართული გუნდებიდან რომელი ფეხბურთელები მოგწონს?**

— საერთოდ, როგორი სტილის ფეხბურთელიც ვარ, ისეთები მომწონს — ტექნიკურები. გამოვარჩევ გიორგი ნოდარის ძე ჭელიძეს, დავით ბოლქვაძეს, ნიკა გელაშვილს...

**— არის ისეთი მცველი, ვის წინააღმდეგაც განსაკუთრებით გიჭირს თამაში?**

— მიჭირს-მეთქი, ვერ ვიტყვი. საერთოდ, რაც მეტ წინააღმდეგობას ვგრძნობ მცველისგან, უფრო მსიამოვნებს თამაში. რასაც გინდა, იმას რომ აკეთებ და ხელს ვერ გიშლიან, ეს ცუდია.

**— არადა, ბევრი ასეთი თამაში გქონდა...**

— სამწუხაროდ. მინდორზე გასვლამდე ვფიქრობ, გავალ და ბოლომდე დავიხარჯები-მეთქი. მართლაც ასე ვაკეთებ, მაგრამ მერე უკვე გრძნობ, რომ მეტოქე წინააღმდეგობას ველარ გიწევს და ძალაუნებურად, ცოტა ეშვები. ძლიერ გუნდებთან თამაშების ნაკლებობა გვაქვს, არადა, ასეთი მატჩებისგან უნდა შეიძინო გამოცდილება.

**— უეფას თასზე ვენის „რაპიდთან" საშინელი წაგებებიც ამის ბრალი იყო?**

— დიახ, თამაშების ნაკლებობა ცალკე და უხარისხო მინდვრებიც ძალიან ხელისშემშლელია. ამასწინათ თანაგუნდელები ვლაპარაკობდით, რაულმა „ბარსელონასთან" მენისკი აიტკივა იმის გამო, რომ ერთ ბეწო ადგილზე მინდორი უხარისხო იყო და ჩვენ რა უნდა ვთქვათ-მეთქი... წარმოიდგინეთ, ეროვნული სტადიონისა და „მესხეთის" მოედნის საფარს შორის რამხელა განსხვავებაა და არ გადავაჭარბებ, უფრო დიდი განსხვავებაა „ეროვნულისა" და „რაპიდის" მინდვრებს შორის. გიორგი შაშიაშვილმა კი მითხრა, „შტურმს" „რაპიდზე" კარგი გაზონი აქვსო...

**— ამის და სხვა ფაქტორების გამოცაა, ყველა უცხოურ კლუბში წასვლაზე რომ ფიქრობს. შენ რას აპირებ?**

— ახლა მხოლოდ საქართველოს ჩემპიონობაზე ვფიქრობ. „დინამოსთან" ორწლიანი კონტრაქტი მაქვს. მოკლედ, ამ ზამთარს ჩემი უცხოეთში წასვლა გამორიცხულია.

**— ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი ხარ და რატომ მოხდა ისე, რომ ნაკრებმა ფავორიტებთან, ესპანეთთან და რუსეთთან კარგი მატჩები ჩაატარა, სუსტებთან კი დამარცხდა?**

— ვფიქრობ, ისევ და ისევ გამოუცდელობის ბრალია. ახლა რომ მახსენდება პოლონეთთან და ყაზახეთთან თამაშები, სხვა დასკვნა ვერ გამომაქვს. უტევ, საგოლე მომენტები გექმნება, მაგრამ მერე ისეთ გოლს უშვებ, უბრალოდ, სატირალია — მეტოქეს კი არ გააქვს, ფაქტობრივად, საკუთარ კარში გაგაქვს. ჯგუფიდან გასვლა ძალიან კარგია, მაგრამ, ჩემი აზრით, ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მიზანი ეროვნული გუნდისთვის ფეხბურთელების გაზრდა და მიწოდებაა.

**— და რუსეთის ახალგაზრდულთან რატომ ვერ ითამაშე?**

— მაგ დღეებში მცირე ტრავმა მქონდა და ნაკრების მწვრთნელმა გადაწყვიტა, არ მეთამაშა.

**— ევროპულ ნაკრებშიც იყავი გამოძახებული, თუმცა მხოლოდ ვარჯიშებზე, თამაშმა კი არ მოგიწია...**

— მწვრთნელის გადასაწყვეტია, ეროვნულ ნაკრებში გათამაშებს თუ არა. ვფიქრობ, ეს დროც მალე მოვა. სიმართლე გითხრათ, მეც მერჩივნა, ახალგაზრდულში 90 წუთი მეთამაშა, ვიდრე ეროვნულში სკამზე ვმჯდარიყავი. ისე კი, ეროვნულ გუნდში ვარჯიშის შემდეგ სიამოვნებას ვგრძნობდი, სულ სხვა განცდაა.

**— იმ კონფლიქტზეც უნდა გკითხო, „დინამო" — „ვიტ ჯორჯიას" მატჩის მერე რომ მოგიხდა შოთა კაშიასთან...**

— თავს შევიკავებ ამ თემაზე საუბრისგან. გაუგებრობა იყო და მეტი არაფერი. უკვე ყველაფერი მოგვარებულია.

**— დიდი გაბარიტების ფეხბურთელი არ ხარ, არადა, ორთაბრძოლებში უფრო ხშირად მოგებული რჩები. ეს როგორ?**

— მამა მოჭიდავე იყო. სანამ ფეხბურთზე შევიდოდი, იქამდე მოჭიდავედ მზრდიდა, ასე რომ...

**— შენი ოცნების კლუბი რომელია?**

— „ბარსელონა", ნაკრებებიდან კი ბრაზილიას ვგულშემატკივრობ.

**ილია ნანობაშვილი**

# გერმანული გამოკვლევა

## სირაძე ჩავიდა და ჩამოვა

*21 ნოემბერს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ბოლო მატჩის (საქართველო — ლიტვა) მე-80 წუთზე ლიტველმა გედამანის პაულაუსკასმა ქართველ თავდამსხმელ* ***დავით სირაძეს*** *თავი ჩაარტყა და ჩვენიანმა გონება დაკარგა. რომ არა 17 წლის ლევან მჭედლიძე, უბედურებას ვერ ავცდებოდით. საბედნიეროდ, სირაძე სიკვდილს გადაურჩა — სტადიონიდან რესპუბლიკურ საავადმყოფოში გააქანეს, სადაც მწვავე ფორმის ტვინის შერყევა დაუდგინეს. სირაძე მეორე დღეს გამოწერეს და წოლითი რეჟიმი დაუნიშნეს. რამდენიმე დღეა, დათო დედასთან ერთად გერმანიაში ჩავიდა და ჩვენც იქ შევეხმიანეთ...*



— ისევ წოლითი რეჟიმი მაქვს. ამ დღეებში გამოკვლევას ჩამიტარებენ, კვირის ბოლოს კი ალბათ თბილისში დავბრუნდები. ისე, რა შედარებაა, უკეთესად ვარ და ვნახოთ, რას მეტყვიან აქაური ექიმები.

— შენი გუნდის, „პადერბორნის" მწვრთნელ-ფეხბურთელებმა თუ გინახულეს?

— რა თქმა უნდა. ისინი კარგი ადამიანები არიან და დიდ ყურადღებას მაქცევენ, მე კი მათ გულით ვქომაგობ. ბოლო მატჩში ფრე ითამაშეს, არადა, ვიგებდით და ძალიან დასანანი ბურთი გავუშვით, რამაც გული დამწყვიტა, თუმც ყველაფერი წინაა და არა მგონია, ლიგიდან გავვარდეთ.

**ნუგზარ ლოლაძე**

# მოუთმენლობელი

## სტუკალოვს ბევრი ტირილი სცოდნია



**20 ნოემბერს** საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროშესარჩევში რუსი თანატოლები 2:0 რომ დაამარცხა, ჩრდილოელ მეზობლებს დღემდე ვერ მოუნელებიათ.

„თბილისში წაგებამ რამდენიმე საკითხზე დაგვაფიქრა. დღეს საქართველომდე ჩასვლა რთულია — ბევრი ვიფრინეთ და მერე ორი დღე თბილისში ვიყავით, რაც საჭირო არ იყო. ფეხბურთელები ექსტრემალურ სიტუაციაში ვნახე. მატჩის დროს ვგრძნობდი, რომ თამაშის შემოტრიალებას ველარ შევძლებდით, იღბალი ჩვენს მხარეს არ იყო. ვცდილობდი, რაიმე სვლები მომეფიქრებინა, მაგრამ ვხვდებოდი, ნაკრების პოტენციალი ფიზიკურად ამოწურული იყო. ქართველების ღირსებას არ ვაკნინებ, მოედანზე ისე გამოვიდნენ, თითქოს ბოლო ბრძოლას ატარებდნენ, მაგრამ, ჩემი აზრით, ასეთ თამაშს ვერ გაიმეორებენ. დაკარგული ჯერ არაფერია, ესპანელებთან ბრძოლას ვაგრძელებთ" — განუცხადა რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა ბორის სტუკალოვმა „სპორტ-ექსპრესს".

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## ეხ, ბურთიდან ფეხბურთამდე...

# NO!ემბერი

## სართულები და სირთულეები

### ილია ბაბუნაშვილის ფურცელი

**მიკიბვისა და მოკიბვის გარეშე გეტყვით: ქართული ფეხბურთის ბოლო თვე საძაგელი იყო; მოვლენებით სავსე, მაგრამ საძაგელი — შეგახსენებთ, რომ რუბრიკა, რომლის მესამე წერილსაც ახლა ეცნობით, მიზნად თვეში ერთხელ საქართველოს შიდა სარბიელზე მიმდინარე ამბებისთვის თვალისა და გონების გადავლებას ისახავს. შესაბამისად, როგორც რუბრიკის წამყვანი, ვამტკიცებ: ნოემბერი საძაგელი იყო!**

არადა, წინა წერილი იმედით დავასრულე. საქმე ის გახლდათ, რომ ახლოვდებოდა 9-11 ნოემბრის უქმეები, ანუ კარს ჩემპიონატის მე-11 ტური იყო მომდგარი, რომელიც ორ უმნიშვნელოვანეს მატჩს, „დინამო“ — „ზესტაფონსა“ და „ამერი“ — „ვიტ ჯორჯიას“ გვთავაზობდა. პირველი მიმდინარე ჩემპიონატის, ყოველ შემთხვევაში, მისი შობისწინა ნახევრის მთავარი დაპირისპირება იყო, მეორე კი დუელი მაღალი ადგილებისთვის მებრძოლი გუნდების ჯგუფიდან, თანაც თბილისური დერბი. ერთი სიტყვით, ჩემი და თქვენი ქვეყნის ჩემპიონატი, ავად თუ კარგად, თავისი დინამიკით მიიწევდა წინ და თავის წილ კულმინაციასა და ინტრიგას ამზადებდა, მაგრამ...

ჯანდაბას, ის, რაც 2-7 ნოემბერს მოხდა და რამაც შემდგომ დღეებში ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა მოიტანა, ეს „სარბიელის“ თემა არ არის და მასზე არაფერს ვიტყვით, მაგრამ ფეხბურთის ნებისმიერი ქომაგი ალბათ დამეთანხმება, რომ, რაც იყო, ჩვენი ჩემპიონატისთვის საძაგლობა გამოვიდა. თან, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბედის ირონიით, ყველაფერი მაინცდამაინც კულმინაციურ ტურში მოხდა და, ჩემი ღრმა რწმენით, ისეთივე ეფექტი იქონია, როგორიც ადამიანისთვის სკამის მოულოდნელმა გამოწევამ იცის.

და ამ რთულ დროში გაუგებრობა ან ვინმეს რისხვა რომ არ გამოვიწვიო, კიდევ ერთხელ, ძალიან მკაფიოდ მინდა ხაზი გავუსვა: მართალია, ფეხბურთი პოლიტიკაზე და ცხოვრების ბევრ სხვა სფეროზე მნიშვნელოვანი არ არის, მაგრამ რაც მოხდა, საქართველოს ჩემპიონატისთვის საძაგლობა იყო! ეს ფაქტი გახლავთ და მოგვწონს თუ არა, ფაქტი ისეთი რამ არის, მარად ფაქტად რჩება.

ასე და ამგვარად, საქართველოს ჩემპიონატის მე-11 ტური 9-11 ნოემბრიდან 5-6 დეკემბრისთვის გადაიდო და საქართველოს ჩემპიონატმაც რიტმი დაკარგა, მით უფრო, რომ როგში საკმაოდ მტკნარი თამაშებით დატვირთული მე-12 ტური იდგა.

„ამერი“ — „ზესტაფონი“, კიდევ ეს გახლავთ მოვლენა, რომელსაც გასული თვიდან გამოვყოფდი. ამ რუბრიკისთვის გლდანში გამართული შეხვედრა იმიტომ კი არ იყო საინტერესო, რომ სატურნირო თვალსაზრისით ჰქონდა მნიშვნელობა, არამედ იმიტომ, რომ კარგი თამაში გამოვიდა. ნათქვამია, კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდაო და, როდესაც საქართველოს ჩემპიონატის ამა თუ იმ თამაშს ვაქებთ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პრემიერლიგას არ ვუყურებთ და ვერ ვხვდებით, რომ „ლივერპული“ — „არსენალი“ უფრო მაღალი დონის დაპირისპირებაა. მაგრამ რა ვუყოთ, თუ „ამერი“ — „ზესტაფონიც“ თავისებურად კარგი გამოვიდა?! ასე ვთქვათ, ეს მესამე სართულზე ცხოვრობს და იქ ივარგა, ის კი, ვთქვათ, მეცხრეზეა და იქ ბრწყინავს. თუმცა ეს ბრწყინვალებაც კომბოსტოსავით ფურცელ-ფურცელ გასარჩევი რამ არის და ამას მომავალში ერთ წერილს აუცილებლად მივუძღვნი.



დავუბრუნდეთ „ამერისა“ და „ზესტაფონის“ კარგ თამაშს, რომელიც გამოვიდა საკმაოდ ტემპიანი, ფეხბურთელთა ოსტატობით მოსაწონი, სტუმრების კარში არჩათვლილი გოლით ყურადღებამისაქცევი, ზესტაფონელი ბექა გოცირიძის, პოლ კესანის და მეკარე გრიგოლ ჭანტურიას გამორჩეული თამაშით, ჭანტურიასვე კარის ძელს მოხვედრილი ბურთით, მასპინძელთა ბადეში შეგდებული ორი და სტუმართა ბადეში შეგდებული ერთი გოლით და ზოგადი სურათით, რომელიც ასეთი რამის თქმას მთავაზობს: შეხვედრა შეიძლებოდა ფრედაც დამთავრებულიყო, მაგრამ ანდაზაა, ბედი ძლიერთ ულიმისო.

თუმცა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ნოემბერი საქართველოს ჩემპიონატისთვის საძაგლობა იყო და ერთ თამაშზე გამორჩევით და ხანგრძლივად ლაპარაკს საპირისპირო შთაბეჭდილება არ მინდა შევაქმნევინო. ასე და ამგვარად, მივედით 5 დეკემბრამდე, ანუ ნოემბრიდან გადმოდებულ ტურამდეც და...

„ამერი“ — „ვიტ ჯორჯია“ ჩაიშალა. ის დაპირისპირება, ზემოთ თბილისური დერბი რომ ვუწოდეთ, 55-ე წუთზე შეწყდა, რადგან „ამერმა“ პროტესტის ნიშნად მოედანი დატოვა.

ვაზუსტებ: სეირის მოყვარულთათვის ამაში ცუდი არაფერია, ფეხბურთის მოყვარულთ კი 90-წუთიანი თამაშის ნახვა ურჩევნიათ. ქომაგი სტადიონზე პასისთვის, ფინტისთვის, მეკარის ნახტომისთვის, ჭკვიანური კომბინაციისთვის და სხვა ამგვარი კომპონენტებისთვის დადის.

ამ სიტყვების ავტორი იქ გახლდით და შემიძლია დაგარწმუნოთ — „ამერის“ ხელმძღვანელობამ თამაშის ჩაშლიდან რამდენიმე წუთშივე განმარტა, რომ უსამართლოდ დანიშნული პენალტის გამო არ გამოუთქვამს პროტესტი. პროტესტის მიზეზი, კლუბის პრეზიდენტის ზურაბ ფოცხვერიას თქმით, არც პენალტის გამო მსაჯთან შეკამათებული მეკარე ზურაბ ქვაჩახიას გაძევება გახლდათ. „ამერის“ პრეზიდენტს უარესის შიშით აშკარად ცუდი გადაწყვეტილება არბიტრ ლევან კვარაცხელიას შემდგომმა საქციელმა მიაღებინა — კვარაცხელიამ საქმე თამაშის განახლებისკენ კი არ წაიყვანა, არამედ, „ყვითლების“ ხელმძღვანელთა აზრით, ისე იქცეოდა, თითქოს ალელვებულ ფეხბურთელებთან საქმის ახალ გარჩევას ემუქრებოდა. და, როგორ უნდა გაირჩეს საქმე მოედანზე გინებამომარჯვებულ თანამედროვე ქართველ ფეხბურთელებსა და წითელმომარჯვებულ თანამედროვე ქართველ მსაჯს შორის? ალბათ ასე: შეაგინებენ — გააგდებს, შეაგინებენ — გააგდებს...

მტკიცება არ შემიძლია, მაგრამ რაღაც ამგვარს მართლა ჰგავდა.

აკი ვთქვი, რომ ნოემბერი საძაგელი გამოდგა.

– „ამერის“ ხელმძღვანელობასაც ვერ გავამართლებ. მიზეზს, თუ ატომური ომი არ იწყება, მნიშვნელობა არ აქვს — თამაში არ უნდა ჩაიშალოს და იცით, რატომ? იმიტომ, რომ ეს პრეცედენტია! ხვალ ვიღაცას, შესაძლოა, ბოლო ტურში წაგება არ მოეწონოს, მიზეზი თითოდან გამოწოვოს (მე შენ გეტყვი, ძნელია) და მოგბაძოს. ერთი სიტყვით, თუ ვთამაშობთ, ვითამაშოთ, სადავო საკითხების გასარჩევად კი კანონით განსაზღვრული ადგილები არსებობს. და კიდევ უმორჩილესად გთხოვთ, საქართველოში ნურც ერთი კლუბის ხელმძღვანელი ნუ გამოიდებს თავს, უდისციპლინობა მე არ მეხება, ჩემი მოთამაშეები კარგად იქცევიანო. ჩვენი დღევანდელი ფეხბურთელებისთვის მსაჯის ყველა გადაწყვეტილებაზე ხელების შლა და ბილწსიტყვაობა ნორმაა. ის კი არა, ხანდახან მრჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენს საფეხბურთო საზოგადოებაში ეს კარგ ტონადაც კი ითვლება. იქაჩებიან და იგინებიან ფეხბურთელები, მწვრთნელები, ტრიბუნაზე შემომჯდარი კლუბის ხელმძღვანელები (აი, ამაში „ამერს“ ნამდვილად ვერ დავადანაშაულებთ), გულშემატკივრები...

და არბიტრები სწორად იქცევიან? რა თქმა უნდა, არა. არბიტრმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იძახოს, „მორჩი ეხლა თორე...“, „ეგ შენი საქმე არ არის, გაიგე?!...“ უფრო მკვახეებზე აღარაფერს ვიტყვი. მოკლედ, ლექსიკა არბიტრებსაც გვარიანად აქვთ გასაწმენდი. ფეხბურთელს სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის წითელს რომ უფრიალებ, მაყურებელს თვალწინ სპორტული ეთიკისა და კანონის დამცველი უნდა ედგეს და არა მოჯიგიტო ვიღაც, რომელსაც ვერ გადაუწყვეტია, გინებას გინებითვე უპასუხოს თუ წითლის აფრიალება სჯობს. და კიდევ გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ, ვწერ რა ამ მოსაზრებებს, ერთ სიტყვასაც არ ვამბობ კორუფციაზე, რომლის შესახებაც გარშემო ყველა ლაპარაკობს, მაგრამ, ერთი რომ, მე ფაქტი არ მაქვს და ამიტომ სიტყვა არ ამომცდება და მეორე, უბრალოდ, არც მინდა, დავიჯერო. სულ არ გამოვრიცხავ, ბევრი ბრალდება მხოლოდ და მხოლოდ სტერეოტიპების ბრალი რომ იყოს, თუმცა ამ სტერეოტიპებს ნგრევა უნდა და ვშიშობ, საამისოდ მსაჯებს მართლა ძალიან ბევრი რამ ექნებათ გადასახედი.

და, რა თქმა უნდა, „დინამო“ — „ზესტაფონი“, რომელიც, როგორც იქნა, ჩატარდა. მომკალით და, ეჭვი არ მეპარება, ეს შეხვედრა 11 ნოემბერს რომ გამართულიყო, გაცილებით კარგი გამოვიდოდა, ვიდრე გამოვიდა, თუმცა რაც გამოვიდა, არც ის იყო ცუდი. ერთხელაც ვიტყვი: ესპანეთისა და ინგლისის ჩემპიონატებს ყველანი ვუყურებთ და კარგად მოგვეხსენება, რომ იქაური თამაშები ჩვენსას სჯობს, მაგრამ „დინამო“ — „ზესტაფონში“ მაინც იყო ის, რასაც, გნებავთ, დონე უწოდეთ, გნებავთ, კლასი და გნებავთ, ოსტატობა. სხვა ამბავია, რომ ეს ყველაფერი ჩვენ უფრო მაღალი ხარისხისა გვინდა.

თუმცა, სანამ ჩვენი დონე, კლასი თუ ოსტატობა ამაღლდება, „დინამომ“ „ზესტაფონს“ აშკარად აჯობა, 2:0 მოუგო და პირველ წრეს დამსახურებული წერტილი დაუსვა.

# საქართველოს 19 ჩემპიონატი
## უმაღლესი ლიგა — პირველი წრე

### საუკეთესო ფეხბურთელი
გიორგი მერებაშვილი („დინამო“)




### საუკეთესო მწვრთნელი
დუშან უჰრინი („დინამო“)



### საუკეთესო ლეგიონერი
ჟორჟ აკირემი



### საუკეთესო ახალგაზრდა
ირაკლი კლიმიაშვილი



### საუკეთესო ბომბარდირი
მიხეილ ხუციშვილი



### მოულოდნელობა
დავით დევდარიანი („ოლიმპი“)
და ილია სპასოევიჩი („დინამო“)







### სიმბოლური ნაკრები

- გიორგი მერებაშვილი — დინამო
- გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე — ზესტაფონი
- შოთა გრიგალაშვილი — ბორჯომი
- მიხეილ ხუციშვილი — დინამო
- ირაკლი კლიმიაშვილი — ვიტ ჯორჯია
- გიორგი დეკანოსიძე — ამერი
- პოლ კასანი — ზესტაფონი
- გიორგი ნავალოვსკი — ოლიმპი
- მილოშ კრშკო — დინამო
- პაატა დათუნაიშვილი — ვიტ ჯორჯია
- გრიგოლ ჭანტურია — ზესტაფონი

### ბომბარდირები



10 - მ. ხუციშვილი — დინამო
8 - გ. მერებაშვილი — დინამო
გ. ნოდ. ჭელიძე — ზესტაფონი
7 - ჟ. აკირემი — დინამო
6. გელაშვილი — ვიტ ჯორჯია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 13 | 12 | 0 | 1 | 35:4 | 36 |
| ზესტაფონი | 13 | 11 | 1 | 1 | 26:6 | 34 |
| ვიტ ჯორჯია | 13 | 10 | 1 | 2 | 25:8 | 31 |
| ბორჯომი | 13 | 7 | 4 | 2 | 17:9 | 25 |
| ოლიმპი | 13 | 7 | 3 | 3 | 13:8 | 24 |
| ამერი | 13 | 7 | 0 | 6 | 21:16 | 21 |
| მესხეთი | 13 | 6 | 2 | 5 | 15:17 | 20 |
| მგლები | 13 | 5 | 0 | 8 | 14:19 | 15 |
| სიონი | 13 | 4 | 3 | 6 | 16:17 | 15 |
| სპარტაკი | 13 | 3 | 3 | 7 | 5:14 | 12 |
| მერანი | 13 | 3 | 1 | 9 | 7:23 | 10 |
| ლოკომოტივი | 13 | 3 | 0 | 10 | 8:21 | 9 |
| დილა | 13 | 1 | 3 | 9 | 7:24 | 6 |
| ბათუმი | 13 | 1 | 1 | 11 | 5:28 | 4 |

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დღეს

# მოსალოდნელი დრამა ველოდრომზე

A ჯგუფი
**მარსელი — ლივერპული**
**პორტუ — ბეშიქთაში**

**„ენფილდზე"** „მარსელთან" წაგების შემდეგ ჩემთვის ვინმეს რომ ეთქვა, ბოლო ტურში ჯგუფიდან გასვლის შანსი გექნებათო, მადლობის ნიშნად ხელს ჩამოვართმევდი" — განაცხადა სტივენ ჯერარდმა, რომელსაც დღეს „ველოდრომზე" გამარჯვების ეიმედება.

„ლივერპულს" სამი ტურის მერე ერთი ქულა ჰქონდა და ბოლო ადგილზე იყო. ზედიზედ ორმა მოგებამ გუნდი გააცოცხლა და „მარსელთან" ფინალის ტოლ მატჩში თუ იმარჯვებს, მერვედფინალში გააღწევს. ჯერარდმა სამი წლის წინანდელი, „ოლიმპიაკოსთან" ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის შეხვედრა გაიხსენა, როცა „წითლებმა" მეტოქეს 3:1 სძლიეს, ჩემპიონთა ლიგაზე გზა გააგრძელეს და იმ სეზონში თასიც დაისაკუთრეს. „ყველას გვახსოვს „ოლიმპიაკოსი" და, მგონი, წარსულის გამოცდილება ახლა უნდა გამოგვადგეს. განსხვავება ისაა, რომ ამჯერად „ენფილდზე" არ ვიქნებით და ცოტა გაგვიჭირდება. „მარსელიც" წნეხის ქვეშაა, რადგან აქამდე ცხრილის თავში იყო, დღეს კი შეიძლება ჯგუფში ჩარჩეს" — აღნიშნა „ლივერპულის" კაპიტანმა.

რაფაელ ბენიტესი: „რაც ამ გუნდში ვარ, შვიდი ფინალი ვითამაშეთ და სამი მოვიგეთ. ამდენად, გამოცდილება არ გვაკლია". შაბათს „რედინგთან" წაგებული (1:3) მატჩის მეორე ტაიმში მწვრთნელმა სტივენ ჯერარდი და ფერნანდო ტორესი გამოცვალა, რაც ასე ახსნა: „მარცხი საწყენია, მაგრამ ბიჭებმა გაიგეს, რომ ასეა საჭირო. მათ დასვენება სჭირდებოდათ „მარსელთან" გადამწყვეტი თამაშის წინ. ვინ იცის, ეგებ დაზოგილი ძალა დაგვეხმაროს და მეტოქეზე უფრო მხნედ თუ ვიქნებით, შეხვედრის ბოლოს გამარჯვების გოლი გავიტანოთ".

„მარსელს" ჯგუფიდან ფრეც გაიყვანს, თუ „ბეშიქთაში" „პორტუს" ვერ მოუგებს. ერიკ გერეტსის გუნდმა ჩემპიონატში შინ „მონაკო" დაამარცხა (2:0) როდრიგესისა და კანას გოლებით. „მარსელის" სენეგალელმა ფორვარდმა მამადუ ნიანგმა განაცხადა: „ამ შეხვედრაში ვერ გავიტანე, მაგრამ ეს პრობლემა არაა. მირჩევნია, მეტოქეს ჩვენი თერთმეტივე ფეხბურთელის „ეშინოდეს", ვიდრე მხოლოდ ჩემი, ან რომელიმე ერთი კაცისა. „მონაკოსთან" გამარჯვებამ თავდაჯერებულობა შეგვმატა".

ერიკ გერეტსი: „ჩვენ საუცხოო გულშემატკივრები გვყავს და მათი მხარდაჭერით „ლივერპულთან" მოგება შეგვიძლია. „მონაკოსთან" კარგად ვითამაშეთ და ამ მომენტისვის გუნდში დაცვის ცენტრს (როდრიგესი და ჟივე) გამოვარჩევდი. მათ მთელი მატჩი უშეცდომოდ ჩაატარეს".

„პორტუს" „ბეშიქთაშთან" ქულა უნდა მერვედფინალის საგზურის მისაღებად, სტამბოლელებს კი მხოლოდ გამარჯვება სჭირდებათ. გასულ უქმეებზე პორტუგალიაში სათასო მატჩები გაიმართა და „პორტუმ" სტუმრად „შავეშს" 2:0 სძლია. გოლები პოშტიგამ და ადრიანომ გაიტანეს, მწვრთნელმა ჟესუალდო ფერეირამ კი თქვა: „ერთ კვირაში სამი გადამწყვეტი მატჩიდან ორი მოვიგეთ და ერთი დავგერჩა. დარწმუნებული ვარ, გუნდი საქმეს ბოლომდე მიიყვანს და „ბეშიქთაშთან" გამარჯვებით პირველ ადგილს შეინარჩუნებს".




„ბეშიქთაშმა" ჩემპიონატში „ბურსას" გასვლაზე 1:0 მოუგო დელგადოს გოლით. „ეს მნიშვნელოვანი გამარჯვებაა „პორტუსთან" მატჩისთვის განწყობის გამოსაკეთებლად" — განაცხადა სტამბოლური კლუბის თავკაცმა ერტუღრულ საღლამმა.

**როზან თურქია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 5 | 2 | 2 | 1 | 6:7 | 8 |
| მარსელი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 7 |
| ლივერპული | 5 | 2 | 1 | 2 | 14:5 | 7 |
| ბეშიქთაში | 5 | 2 | 0 | 3 | 4:13 | 6 |

**წინა მატჩები**

მარსელი — ბეშიქთაში 2:0; პორტუ — ლივერპული 1:1; ლივერპული — მარსელი 0:1; ბეშიქთაში — პორტუ 0:1; ბეშიქთაში — ლივერპული 2:1; მარსელი — პორტუ 1:1; ლივერპული — ბეშიქთაში 8:0; პორტუ — მარსელი 2:1; ბეშიქთაში — მარსელი 2:1; ლივერპული — პორტუ 4:1



# კლინსი რაფას ნაცვლად?

**რაფაელ ბენიტესის** საქმე უკულმა მიდის „ლივერპულში". მას შემდეგ, რაც „წითლების" თავკაცი კლუბის პატრონებს გაებუტა, ინგლისური მედია ხან ერთ კანდიდატს ამოაგდებს „ლივერპულის" მწვრთნელობაზე, ხან — მეორეს.

ესპანელი „ენფილდ როუდზე" ალბათ დიდხანს ველარ გაჩერდება, მის სავარაუდო შემცვლელად კი სხვა ცნობილი მწვრთნელების გარდა გერმანელ იურგენ კლინსმანსაც ასახელებენ.

„სანის" ინფორმაციით, „კლინსის" „ლივერპულის" ამერიკელი მეპატრონეები, ჯორჯ ჯილეტი და ტომ ჰიკსი მოუხიბლავს. ჰოდა, ახლა იანკები მასთან მოლაპარაკებას მართავენ.

გერმანელი კალიფორნიაში ცხოვრობს. კლინსმანმა 2006 წლის მუნდიალზე „ნაციონალმანშაფტი" მესამე ადგილზე გაიყვანა და მერე ნაკრები იოახიმ ლიოვს გადააბარა. წელიწადზე მეტია, იურგენი უმუშევრადაა და მისი წარმომადგენლები აცხადებენ, რომ წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელი მზად არის, სამწვრთნელო საქმიანობას ისევ დაუბრუნდეს.

რაფა ბენიტესის სალივერპულო ბედი კი დღეს, „მარსელთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩში გადაწყდება. თუ „წითლებმა" მოიგეს, ესპანელი „ენფილდზე" დარჩენის შანსებს განიმტკიცებს, ხოლო თუ დამარცხდნენ, „ლივერპულში" კლინსმანს ან სხვა ვინმეს უნდა ველოდოთ.

**ლადო ხომერიკი**

# მტერი მოძღვრად

**ჟოზე მაურინიუ** სტივ მაკლარენის დათხოვნის მერე უთავოდ დარჩენილი ინგლისის ნაკრების თავკაცობის ერთ-ერთი კანდიდატია, თუმც ალბიონზე იმასაც ამბობენ, რომ პორტუგალიელი შეიძლება „ბარსელონას" მწვრთნელიც გახდეს.

„სანდი ექსპრესმა" განაცხადა, მაურინიუმ კატალონიიდან ხელსაყრელი შემოთავაზება მიიღო და პორტუგალიელს „ბარსას" დამრიგებლობა ალბათ არ ასცდებაო. ხსენებული გაზეთის ვერსიით, „ბარსელონა" თავის ამჟამინდელ მწვრთნელ რაიკარდს 25 დეკემბრამდე დაითხოვს და „მაუს" „კამპ ნოუზე" პრეზენტაციაც დაუყოვნებლივ მოხდება.

„სანდი ექსპრესი" კატალონიური გრანდის მწვრთნელად მარკო ვან ბასტენსაც ასახელებს, თუმც მაურინიუს ვარიანტი უფრო სარწმუნოა. საქმე ის გახლავთ, რომ ვან ბასტენმა 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე ჰოლანდიის ნაკრებს უნდა უთავკაცოს, „ბარსა" კი ივნისამდე ახალი მწვრთნელის გარეშე ვერ დარჩება.

ეს ყველაფერი კარგი, თუმცა საინტერესოა, კატალონიელი იწნასები „ბარსელონას" ოდინდელ „ნომერ პირველ მტერს" მწვრთნელად როგორ მიიღებენ. „ჩელსიში" მოღვაწეობის დროინდელი ენაკვიმატობისა და მოურიდებელი საქციელის გამო „მაუ" ბარსელონაში არ უყვართ. თუმცა ვინ იცის...

**ლადო ხომერიკი**

# ვის გაუღიმებს 2008?

**ერნესტო ბრონძეტი** გუშინწინ მავან იტალიურ ტელეარხს ესტუმრა და თქვა, რომ რონალდინიოს „მილანში" გადასვლისთვის მომავალი 2008 წელი შეიძლება იღბლიანი გამოდგეს.

სინიორ ბრონძეტი აპენინებზე და მთელ მსოფლიოში სატრანსფერო საქმეთა მოგვარების სწორუპოვარი ოსტატია. ვინძლო, ასეთი კაცის ნათქვამს დაეჯერება, თუმც არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ინგლისური მედიის ვერსიით, რონის „ჩელსისთან" აქვს წინასწარი კონტრაქტი გაფორმებული.

ბრონძეტიმ განაცხადა: „რონალდინიო „ბარსას" მალე მიატოვებს და „მილანში" გადაბარგდება. კატალონიურ გუნდში მოიერიშენი მრავლად ჰყავთ, თან 2008-ში ესპანეთში საგადასახდო კანონები მკაცრდება და ფეხბურთელისთვის უკეთესი იქნება, პრიმერადივიზიონს თუ დატოვებს".



და „ჩელსი"? სატრანსფერო საქმეთა იტალიელ განმრიგეს ამაზეც აქვს პასუხი გამზადებული: „ბრაზილიელი ყოველთვის ამბობდა, რომ ინგლისურ პრემიერლიგაში თამაში არ სურს. მისი მიზანი „მილანში" ბურთაობაა".

„ბარსელონას" პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ კი „დეპორტივოსთან" საკვირაო მატჩის მერე პრესკონფერენციაზე დაბეჯითებით აღნიშნა: „რონალდინიო ტრანსფერგარეშეა. იგი გაისადაც ჩვენს გუნდში ითამაშებს".

**ლადო ხომერიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
## ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დღეს

# ვალენსია გრანტის სავარჯიშო რგოლია

**B ჯგუფი**

**ჩელსი — ვალენსია**

**შალკე — რუსენბორგი**

**„ჩელსიმ"** მერვედფინალი წინა ტურშივე გაინაღდა და ავრაამ გრანტი „ვალენსიასთან" მატჩს იმის გასარკვევად გამოიყენებს, როგორი ტაქტიკით ათამაშოს გუნდი მომდევნო ორი თვის განმავლობაში. დიდიე დროგბამ შაბათს მუხლზე ოპერაცია გაიკეთა და „ჩელსის" ოთხი კვირით დააკლდება. ამდენად, მწვრთნელს რაღაც-რაღაცების გადაწყობა მოუწევს, რაც დროგბაზე ჰქონდა აწყობილი. კოტდივუარელი ფორვარდი იანვრისთვის გამოკეთდება, მაგრამ აფრიკის ეროვნებათა თასზე სათამაშოდ წავა და თებერვლამდე პრემიერლიგას დაემშვიდობება. ანდრეი შევჩენკომ შაბათს „სანდერლენდთან" მოგებულ (2:0) მატჩში გაიტანა, თუმცა დროგბასგან ძალიან შორსაა. კლაუდიო პიზაროს საგოლე ალღო დაკარგული აქვს, რადგან ამ სეზონში მხოლოდ ერთი შეაგდო. ეს ორნი და კიდევ სალომონ კალუ არიან კოტდივუარელის სავარაუდო „მემკვიდრეები".

ავრაამ გრანტი: „დროგბას გარეშე იოლი არ იქნება, მაგრამ „ჩელსის" მწვრთნელობას რომ დავთანხმდი, იოლ ცხოვრებას არც ველოდი. არა უშავს, ჩვენ სხვა ფორვარდებიც გვყავს და მათ თავის გამოჩენის შანსი ექნებათ".

ამბობენ, „ჩელსი" დროგბას ოპერაციისგან თავის შეკავებას ურჩევდაო, მაგრამ ბიჭმა დაიჟინა — აფრიკის ერონებათა თასისთვის მზად უნდა ვიყოო.

რონალდ კუმანის ხელში „ვალენსიას" საქმეები უკან-უკან მიდის. გუნდს უკვე ოთხი მატჩია, არ მოუგია და ამას ვინლა ჩივის, გოლიც არ გაუტანია. პრიმერადივიზიონში 6 ნოემბერს „მურსიას" დამარცხების შემდეგ „ვალენსიამ" „რასინგთან" წააგო, ჩემპიონთა ლიგაში „შალკეს" დაუზავდა, მერე შინ „ბილბაოსთან" შერცხვა (0:3) და გასულ უქმეებზე „ოსასუნასთან" ფრე ითამაშა. აი, ასეთ „ვალენსიას" ჩაიყვანს კუმანი ლონდონში იმ იმედით, რომ „ჩელსის" დაამარცხებს და იმავდროულად გელზენკირხენში „შალკე" „რუსენბორგს" ვერ მოუგებს. ამ შემთხვევაში „ლამურები" მესამე ადგილზე გავლენ და უეფას თასზე ითამაშებენ. ვალენსიელებს ტრავმის გამო ხოაკინი, ხოლო დისკვალიფიკაციის გამო დავიდ ალბელდა დააკლდებიან.

„რუსენბორგს" კი მერვედფინალისგან ერთი ქულა აშორებს. ნორვეგიელები „შალკესთან" არ უნდა დამარცხდნენ და ჯგუფიდან გაალწევენ. „ხუმარები" შაბათს ფრანკფურტში „აინტრახტს" დაუზავდნენ (2:2) და ორივე გოლი ვესტერმანმა გაიტანა. „იღბლის წყალობით, ქულა გადავარჩინეთ — თქვა მირკო სლომკამ — ცუდად ვითამაშეთ და მიზეზების ჩამოთვლა რომ დავიწყო, მთელი დღე არ მეყოფა. დასაწყისიდანვე ავირიეთ და ველარ დავლაგდით".

**ვაჟა ხუციშვილი**



ავრაამ გრანტს სანერვიულო არაფერი აქვს...



...რონალდ კუმანი კი ხავსს ეჭიდება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 5 | 3 | 2 | 0 | 9:2 | 11 |
| რუსენბორგი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:7 | 7 |
| შალკე | 5 | 1 | 2 | 2 | 2:3 | 5 |
| ვალენსია | 5 | 1 | 1 | 3 | 2:6 | 4 |

**წინა მატჩები**

ჩელსი — რუსენბორგი 1:1; შალკე — ვალენსია 0:1; ვალენსია — ჩელსი 1:2; რუსენბორგი — შალკე 0:2; რუსენბორგი — ვალენსია 2:0; ჩელსი — შალკე 2:0; ვალენსია — რუსენბორგი 0:2; შალკე — ჩელსი 0:0; რუსენბორგი — ჩელსი 0:4; ვალენსია — შალკე 0:0



# ოლივერ კანმა სიახლეს დასცხო

**ოლივერ კანმა** ბოლო რამდენიმე მატჩში მიუნხენის „ბაიერნის" სუსტ თამაშზე დაიჩივლა და განაცხადა, რომ ბავარიელთა ვარსკვლავური ტრანსფერებით შემატებული ფრანკ რიბერი და ლუკა ტონი გუნდის სასარგებლოდ უკეთ უნდა ირჯებოდნენ.

„დარწმუნებით ვერ გეტყვით, რა ხდება, თუმცა ცხადია, რომ რაც დრო გადის, მით უფრო ცუდად ვთამაშობთ. სეზონის დასაწყისის ეიფორიამ გაიარა და ახლა მკაცრი რეალობის წინაშე აღმოვჩნდით" — უთხრა კანმა „კიკერის" კორესპონდენტს.

ვეტერანმა მეკარემ ახალწვეულებს საქმისადმი მიდგომა დაუწუნა: „ახლები „ბაიერნისა" და ბუნდესლიგის მაღალ მოთხოვნებს უნდა შეეჩვიონ. სეზონის მარტო კარგად დაწყება არ კმარა, შენი სიძლიერე მთელი ჩემპიონატის განმავლობაში უნდა ამტკიცო. ვიღაც-ვიღაცებმა უნდა გაიგონ, რომ ორი-სამი მატჩის უმაღლეს დონეზე ჩატარება პრაქტიკულად არაფერს ნიშნავს. „ბაიერნი" არც „მარსელია" და არც „ფიორენტინა", ჩვენს კლუბს მხოლოდ „მილანს", „რეალს", „ბარსელონას" ან „მანჩესტერს" თუ შევადარებთ".

**ლადო ხომერიკი**

# რომას ინტერის შურს

**გასულ** უქმეებზე სერია A-ს ერთ-ერთი მთავარი ამბავი „რომას" მიერ ტოსკანაში მაჩანჩალა „ლივორნოსთან" ორი ქულის დაკარგვა იყო, რის გამოც „ინტერი" „მგლებს" უკვე 5 ქულით გაექცა, უახლოესი მდევრები კი — „იუვენტუსი" და „უდინეზე" — ძალიან მოუახლოვდნენ.

„არა მგონია, ჩემი ბიჭები იმის გამო იყვნენ გულგატეხილნი, რომ „ინტერი" სულ იგებს. ვფიქრობ, ამას უნდა შევეგუოთ. მთავარია, მილანელებს ტემპში ავყვეთ და კონცენტრაცია შევინარჩუნოთ. უბრალოდ, ყოველთვის ლამაზი, გახსნილი ფეხბურთის თამაში გვსურს, რაც მეტოქეებს მეტ შანსს აძლევს. მინდორი საუკეთესო მდგომარეობაში არ იყო და „ლივორნოც" საკმაოდ ძლიერ გუნდია" — აღნიშნა „ჯალოროსის" მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე, „რომას" მხრიდან გოლის ავტორი დანიელე დე როსი: „მატჩის შემდეგ ამაზე საუბარი არ ღირს, მაგრამ მაინც — მსაჯობით უკმაყოფილო ვარ. ერთი-ორი პენალტი გვეკუთვნოდა. მესმის, ყველა მეტ-ნაკლებად მწვავე დარღვევაზე მსაჯი რომ უსტვენდეს, თითო შეხვედრაში 12-13 თერთმეტმეტრიანი მაინც იქნებოდა, მაგრამ მაშინ ფეხბურთის წესებია დასახვეწი. ფაქტია, დავზარალდით, თუმცა ეს ჩვენი ბრალიცაა. პირველად არ ხდება, როცა გატანისთანავე ვუშვებთ გოლს, „ინტერს" ასეთები არ მოსდის. თუმცა სეზონის ბოლომდე კიდევ დიდი დროა და სკუდეტოს მოგების რეალური შანსი ნამდვილად გვაქვს".

„ძლიერი მეტოქე გვყავდა. „რომა" „არსენალთან" ერთად ევროპაში ულამაზეს ფეხბურთს თამაშობს. მთავარი იყო, დედაქალაქელთათვის სივრცე არ მიგვეცა, თორემ ველარ შევაჩერებდით. საბედნიეროდ, რაც გვინდოდა, გამოგვივიდა. ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საამაყო ქულაა. კომპლიმენტი ყველას ეკუთვნის, დიეგო ტრისტანს კი სერია A-ში პირველ გოლს ვულოცავ. ცოტა ხნის წინ მან მთხოვა, ახალგაზრდულ გუნდში მათამაშე, ფორმის აღდგენ მინდაო... ეს მას კარგად ახასიათებს" — თქვა „ლივორნოს" მწვრთნელმა ჯანკარლო კამოლეზემ.

დიეგო ტრისტანი: „კამოლეზეს მოსვლის მერე ჩემი საქმეებიც უკეთ წავიდა, რაც ძალიან მახარებს. როგორც იქნა, ნავსი გავტეხე. „რომასთან" მთელი გულით ვითამაშეთ და დავჯილდოვდით კიდეც. სხვათა შორის, ადრე, როცა „ჯალოროსის" ფაბიო კაპელო წვრთნიდა, „რომაში" გადასვლის ვარიანტი მქონდა, მაგრამ ახლა „ლივორნოში" ამაყი და ბედნიერი ვარ".



დანიელე დე როსი ლივორნოში გატანილ გოლს ზეიმობს

„კამოლეზემ გუნდი გამოაფხიზლა. „რომასთან" ფრემ ძალიან გამახარა. ჩემს ხელში კლუბი ასე ძლიერი არასდროს ყოფილა. დიდი პოტენციალი გვაქვს. იმასაც ვიტყვი, რომ საშინლად ვეწინააღმდეგებოდი ტრისტანის ყიდვას, მაგრამ კამოლეზემ ისიც გამოაღვიძა" — განაცხადა „ლივორნოს" პრეზიდენტმა ალდო სპინელიმ.

**ჟოჟი ჟანდელაკი**

## ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
## ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დღეს

C ჯგუფი
რეალი — ლაციო
ოლიმპიაკოსი — ვერდერი

# დელიო როსი: ზღაპრების მჯერა!



შუსტერი და მისი „რეალი“ ბოლო ნაბიჯისთვის ემზადებიან

„რეალმა“ ორი ან მეტი ბურთის სხვაობით რომ წააგოს, ჯგუფში ჩარჩება. მადრიდელებს მერვედფინალში გასასვლელად ქულა უნდათ და საეჭვოა, რომ შედარებით სუსტ „ლაციოსთან“ სასურველ შედეგს ვერ მიაღწიონ. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ რეალელებმა ამ სეზონში ყველა მატჩი მოიგეს, ჩემპიონთა ლიგაში კი ბოლო 24 საშინაო შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ, 2006-ის გაზაფხულზე „არსენალთან“ დამარცხდნენ.

შაბათს „რეალმა“ სტუმრად „ბილბაოს“ 1:0 სძლია რუუდ ვან ნისტელროის გოლით და მწვრთნელმა ბერნდ შუსტერმა განაცხადა: „გუნდმა გულიანად იბრძოლა და ეს ძალიან მახარებს“, ხოლო ჟულიო ბაპტისტამ, რომელმაც „რასინგთან“ კარგი თამაშის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაიბრუნა, თქვა: „ეს გამარჯვება უმნიშვნელოვანესი იყო „ლაციოსთან“ მატჩის წინ“.

„ლაციო“ წლეულს ვერ ბრწყინავს და ამიტომაცაა სერია A-ში მეთორმეტე ადგილზე, თუმც „რეალს“ რომაულ შეხვედრაში ტოლი არ დაუდო და 2:2 ითამაშა. შაბათს დელიო როსის გუნდმა შინ „კატანია“ დაამარცხა (2:0). გოლები როკიმ და პანდევმა გაიტანეს. „სასწაული უნდა მოხდეს, მადრიდში რომ მოვიგოთ, მე კი სასწაულების მჯერა“ — თქვა დელიო როსიმ.

„რეალის“ დამარცხება თუ გვსურს, ბევრად უკეთ თამაში გვმართებს, ვიდრე „კატანიასთან“ — განაცხადა ტომაზო როკიმ — მაგრამ თერთმეტი თერთმეტის წინააღმდეგ ვიქნებით და დასაკარგი არაფერი გვაქვს“. ლაციოელებს სასჯელმოხდილი მცველი კრიბარი დაუბრუნდება, ხოლო ვალონ ბეჰრამი ტრავმირებულია.

„ოლიმპიაკოსსაც“ „რეალივით“ ქულა სურს ჯგუფიდან გასაღწევად, ხოლო „ვერდერს“ აუცილებლად მოგება სჭირდება. პირეოსელებმა ჩემპიონატში „ლევადიაკოსი“ 4:0 გაანადგურეს სტოლტიდისის, კოვაჩევიჩის, ჯორჯევიჩისა და მიტროღლუს გოლებით. ხოლო „ვერდერი“ ჰანოვერში 3:4 დამარცხდა. ბრემენელთაგან როზენბურგმა დუბლი შეასრულა, მესამე კი დიეგომ გაიტანა. „ოლიმპიაკოსს“ დისკვალიფიცირებული ჰყავს ჯორჯევიჩი, პაცაცოღლუ და ლედესმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 5 | 2 | 2 | 1 | 10:8 | 8 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:7 | 8 |
| ვერდერი | 5 | 2 | 0 | 3 | 8:10 | 6 |
| ლაციო | 5 | 1 | 2 | 2 | 7:8 | 5 |

**წინა მატჩები**

რეალი — ვერდერი 2:1; ოლიმპიაკოსი — ლაციო 1:1; ლაციო — რეალი 2:2; ვერდერი — ოლიმპიაკოსი 1:3; ვერდერი — ლაციო 2:1; რეალი — ოლიმპიაკოსი 4:2; ლაციო — ვერდერი 2:1; ოლიმპიაკოსი — რეალი 0:0; ვერდერი — რეალი 3:2; ლაციო — ოლიმპიაკოსი 1:2

# ბაბუა პეპლების დევნამ დაღალა



ევროპაში დღეს მოქმედთაგან უხუცესი ფეხბურთელი „ლაციოს“ მეკარე მარკო ბალოტაა. იგი 43 წლისაა. „ჭაღარათა“ სიაში შემდეგ „პალერმოს“ ფონტანა (40), ლეგენდარული მილანელი მალდინი (39) და „პარმას“ კოუტუ (38) მოდიან. წლეულს ბალოტა მხოლოდ საჩემპიონთალიგო მატჩებში თამაშობდა, თუმცა მისმა სტაბილურობამ იტალიელს სერია A-ს შეხვედრებშიც მოუპოვა ძირითადში ადგილი. „პაპა მარკო“ დღეს ლიგის მატჩში „რეალს“ უნდა შეერკინოს. ბალოტას მადრიდული „ასის“ ჟურნალისტი გაესაუბრა

**— თამაში 43 წლის ასაკშიც კი არ გიჭირთ. რა არის თქვენი სიძლიერის საიდუმლო?**

— არავითარი საიდუმლო არ მაქვს. საბედნიეროდ, თავს ფიზიკურად კარგად ვგრძნობ, ვარჯიშებსაც სრული დატვირთვით ვასრულებ და ერთადერთი, რაც მაწუხებს, ხშირმატჩიანობაა — ასე ფორმის შენარჩუნება მიძნელდება. ფეხბურთელისთვის თამაში ვარჯიშივითაა, მეკარეების შემთხვევაში კი განსხვავებულ სიტუაციასთან გვაქვს საქმე. ძალები უნდა ალიდგინო და ტექნიკაზე ივარჯიშო. ვცდილობ, არ მოვდუნდე და ერთიანად ჩემს საქმეზე ვიყო კონცენტრირებული.

**— მეკარეობა ყოველთვის გინდოდათ?**

— არა. თავიდან ფორვარდი ვიყავი და ეს ძალიან მომწონდა. 13 წლისამ ბავშვთა გუნდში მეკარეობა მოვსინჯე. იმ მომენტში სხვა გოლკიპერი არ გვყავდა და გუნდის ვარჯიშზე კარის დაცვა მე ჩამაბარეს. საქმეს თავი კარგად გავართვი და იქიდან მოყოლებული დღემდე ბურთების მოგერიება მიწევს... რა უბედურებაა!

**— ასაკის გამო მეტოქე ფეხბურთელთაგან შეურაცხყოფის ფაქტები ხომ არ ყოფილა?**

— არა, რას ამბობთ. პირიქით, ახალგაზრდა ფეხბურთელთა მხრიდან უდიდეს პატივისცემას ვგრძნობ. ხუმრობა კი ბევრია. მაგალითად, „ლაციოს“ გასახდელში „ბაბუა“ შემარქვეს.

**— სერია A-ში თქვენი დებიუტი 1990 წელს შედგა. იქამდე კი 11 სეზონი დაბალ ლიგებში გაატარეთ...**

— სიმართლე თუ გაინტერესებთ, სერია A-ში ჩემი პირველი მატჩი „ბოლონიას“ შემადგენლობაში 1980 წელს ჩავატარე, როცა 16 წლის ვიყავი. მერე უმაღლეს ლიგაში 1990-მდე აღარ მითამაშია.

**— თანამედროვე ფეხბურთთან ადაპტირება არ გაგიჭირდათ?**

— მეკარის თამაშის წესები ადრინდელთან შედარებით საკმაოდ შეიცვალა. დღეს თუ გინდა, სხვებს კონკურენცია გაუწიო, ფეხით თამაში ძალიან კარგად უნდა შეგეძლოს, რასაც ახლანდელი თაობა დიდ ყურადღებას აქცევს. მე კი ამის მისაღწევად დიდი ჯაფა მჭირდება. და ეს ახალი ბურთები... თანამედროვე ფეხბურთში პეპლასავით მსუბუქი ბურთებით თამაშობენ, ბურთი კი არ მიქრის — გიჟურად დაფრინავს აქეთ-იქით...

**— მეკარეთა შორის თქვენი კერპი ვინ არის?**

— დინო ძოფი, რომელიც „ლაციოში“ ჩემი პრეზიდენტი გახდა. თავზეხელაღებულ ნახტომებს არ აკეთებდა, თუმცა გუნდი არასდროს დაუღალატებია. ძოფი იყო ზუსტი, შესანიშნავი, სერიოზული და საიმედო მეკარე.

**— და ყველაზე სახიფათო თავდამსხმელი?**

— ბატისტუტამ მეკარეებს დიდი შიში აჭამა, თუმცა ყველაზე სახიფათო მოიერიშედ მაინც მარკო ვან ბასტენს დავასახელებ. უმაღლესი დონის თავდამსხმელი იყო. დღევანდელი ფორვარდებიდან მარკოს „რეალის“ რუუდ ვან ნისტელროოი წააგავს.

**— იკერ კასილიასის შესახებ რას იტყვით?**

— მიხარია მისი წარმატება. ევროპაში კასილიასზე უკეთესი 3 თუ 4 მეკარე იქნება.

**— იკერში რა მოგწონთ?**

— ჩემპიონთა ლიგაში 17 წლისას ჰქონდა დებიუტი და მას შემდეგ სასტარტო თერთმეტეულს არ მოცილებია. მგონი, ამით ყველაფერია ნათქვამი. კასილიასი ძალიან სწრაფია, რეაქციაც შესანიშნავი აქვს და ფეხითაც კარგად თამაშობს. მხოლოდ ერთში არ გაუმართლა, მეკარისთვის არასაკმარის სიმაღლეს ვგულისხმობ.

**— „რეალის“ მეკარეს სადღეისოდ ვინ სჯობნის?**

— ჯანლუიჯი ბუფონს ვამჯობინებ — არა იტალიელობის გამო, არამედ იმიტომ, რომ მუდამ გუნდის მხსნელია. ბუფონისთვის თამაშის სასწაულებრივად გადარჩენა უკვე ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. ჯიჯისთან ერთად „პარმაში“ ვთამაშობდი. მაშინ ის 14 წლის იყო და ვერავინ იფიქრებდა, ამ სიმაღლეზე თუ ავიდოდა.

**— „ბერნაბეუზე“ „რაულის ფაქტორი“ არ გაშფოთებთ?**

— რაული უძლიერესია. „რეალის“ კაპიტანი თანაგუნდელთათვის მოედანზე სრულად იხარჯება და ძნელია, მოძებნო კაცი, ვინც საქმეს რაულივით სრულყოფილად აკეთებს.

**— და რობინიო?**

— მადრიდელი ფორვარდები ცალ-ცალკე ჩვენთვის ხიფათს არ წარმოადგენენ. ცუდი ისაა, როცა მთელი „რეალი“ შემოგიტევს...

**— კარიერის განმავლობაში 10 გუნდში იყავით. უპირატესობას რომელ მწვრთნელს მიანიჭებდით?**

— ერიკსონი „ლაციოს“ ძალიან დაეხმარა. ანჩელოტისთან ერთად კი „ბოლონიაში“ ვიყავი. საოცარი დრო იყო — მუშაობის დროს კარლო ანჩელოტი პირველ მაგალითს გვაძლევდა და როცა ვერთობოდით, იქაც მწვრთნელი იყო ჩვენი თაოსანი.

**— ფეხბურთის მიტოვებაზე არასდროს გიფიქრიათ?**

— ბოლო 10 სეზონის განმავლობაში ფეხბურთელის მიტოვებაზე ყოველწლიურად ვფიქრობ. კონტრაქტებსაც ყოველწლიურად ვაფორმებ. თავადაც არ ვიცი, მომავალ სეზონში თამაშს გავაგრძელებ, თუ არა... ოთხი წლის წინ გუნდიდან წასვლის გადაწყვეტილებამდე მივედი, მერე ორი თვე სახლში დაბმული ქოფაკივით კედლებს ვაწყდებოდი და მეუღლემ მირჩია, ისევ ფეხბურთს დავბრუნებოდი. არა, კი არ მირჩია, დამაძალა...

**ლადო ხომერიკი**

# ნიკოლა პოციმ პოკერი ითამაშა

**სერია A-ს მე-15 ტური ერთ-ერთი საუკეთესო გამოდგა მიმდინარე სეზონში. განსაკუთრებული ფეხბურთელებისა თუ მომენტების გამორჩევა ჭირს კიდეც, მაგრამ მეტ-ნაკლებად ყველაფერს channel4.com-ის მორიგი მიმოხილვიდან შევიტყობთ.**



## გამარჯვებულები

**ნიკოლა პოცი** (ემპოლი) — ახალგაზრდა ფორვარდს „კალიარისთან“ მატჩი ალბათ არასდროს დაავიწყდება. მას სერია A-ში სულ 8 გოლი გაეტანა, სარდინიელებთან კი ამის ნახევარი ერთბაშად შეაგდო და პოკერი გაიფორმა. მეხუთესაც გაიტანდა, ცოტა მეტად რომ გამართლებოდა და მისი ერთ-ერთი დარტყმისას ბურთი ხარიხას არ მოხვედროდა. 67-ე წუთზე ნიკოლა შეცვალეს და ქომაგებმა იგი დამსახურებული აპლოდისმენტებით გააცილეს.

**პაველ ნედველი** (იუვენტუსი) — მიმდინარე სეზონში „იუვეს“ ძველი მოთამაშეებიდან ყველაზე მეტად ჩეხ ვეტერანს აკრიტიკებდნენ. თუმცა მან უკვე მერამდენედ დაამტკიცა, თუ რას წარმოადგენს. „ატალანტასთან“ ტურინელების შეხვედრა თითქოს ფრისთვის იყო განწირული, როცა ნედველმა დახლოებით 30 მეტრიდან გაისროლა და... მას კიდევ შეუძლია არაფრისგან გოლის გამოძნობა და მნიშვნელოვან მომენტში თამაშის თავის თასზე აღება. და ერთიც: ნედველმა სერია A-ში მე-300 მატჩი ჩაატარა...

**ფაბრიციო მიკოლი** (პალერმო) — ალბათ შემთხვევითი არ იყო, რომ მიკოლი დაბრუნდა და „პალერმომ“ ისევ მოიგო. ტანჩია ფორვარდმა მშვენიერად ითამაშა და „ფიორენტინასთან“ გამარჯვებას ჩაუყარა საფუძველი. ეს ერთგვარი პასუხიც გახლდათ „იებისთვის“. შეგახსენებთ, რომ 2004-05 წლების სეზონი ფაბრიციომ მათ რიგებში მშვენიერად ჩაატარა და 12 გოლიც გაიტანა, მაგრამ ფლორენციელებმა მისი გამოსყიდვა და შენარჩუნება მაინც არ ისურვეს.

## დამარცხებულები

**ალვარო რეკობა** (ტორინო) — „სან სიროზე“ მის დაბრუნებას პრესაში ამხელა რეზონანსი სულ ფუჭად ჰქონდა. ურუგვაელმა ყველას და მათ შორის „ინტერს“ დაანახვა, რომ ძირითად შემადგენლობაში „ტორინოშიც“ ვერ ხვდება. „ელ ნინიო“ მინდორზე 65-ე წუთზე შევიდა, რითაც გამოჩნდა, თუ რატომ გახდა მისთვის მიუწვდომელი სასტარტო შემადგენლობა. რეკობას პრობლემებს ბოლო არ უჩანს...

**მარკო ამელია** (ლივორნო) — მრავალჯერ უთქვამს, ბავშვობიდან „რომას“ ფანი ვარ და „ჯალოროსიში“ დაბრუნება ძალიან მინდაო. თუმცა „რომასთან“ შეხვედრაში კუთხურისას საშინლად ითამაშა და დანიელე დე როსის გოლი აჩუქა. არა გვგონია, ეს ფაქტი ლუჩანო სპალეტის თვალში კარგად მოხვედროდა.

**ჯანპიერო გასპერონი** (ჯენოა) — თუ მისი მოხსნის საშიშროება აქამდე არ არსებობდა, ამიერიდან ნამდვილად გაჩნდებოდა. შინ აუტსაიდერ „სიენასთან“ წაგების (1:3) მერე გასპერონიმ კი თქვა, ეს ჩვენი უცუდესი მატჩი იყოო, მაგრამ სიტყვები საქმეს არ შველის და საქმე მხოლოდ წაგებაშიც არ არის — გენუელები ყველა რგოლში კოშმარულად გამოიყურებოდნენ.

## გოლები

**მარსელო ზალაიეტა** (ნაპოლი) — ბრწყინვალე სამხრეთამერიკული კომბინაცია გამოვიდა — ეზეკილ ლავეციმ ქუსლით მარიანო ბილიაჩინოს დაუგორა, ვინც მოკლე მანძილზე ოსტატურად გადაატარა ბურთი თავზე „პარმას“ დაცვას და ზალაიეტაც იქვე იყო.

**ფაბრიციო მიკოლი** — ამ გოლში მთავარი ამაურის გამაოგნებელი პასია, მაგრამ თავად მიკოლიმაც ყველაფერი კარგად გააკეთა. ორ მცველს შორის მყოფმა ამაურიმ მარცხნივ გაიხედა და გეგონებოდა, ჰაერში მყოფ ბურთს ყვინჯი გამოსდო, ისე ოსტატურად გადააწოდა მიკოლის, რომელიც ასეთი პასის მერე უბრალოდ ვალდებული იყო, გოლი გაეტანა. ეს მატჩი ალბათ ნახა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა და ამაურის ფანდის დამუშავება დაიწყო...

**ფაბიო კვალიარელა** (უდინეზე) — მიმდინარე სეზონს ჯერჯერობით წინასავით ეფექტურად ვერ ატარებს, მაგრამ თავის ყოფილ კლუბთან მატჩში სწორედ ძველი კვალიარელა იყო. უდინელებმა მისი დუბლით მოიგეს, ფაბიოს კი განსაკუთრებულად ეფექტური მეორე გოლი გამოუვიდა — როგორც სჩვევია, უცნაური ტრაექტორიით გაისროლა და ლუკა კასტელაცი უძლური იყო. კვალიარელამ რაც თქვა, შეასრულა — არც ეს და არც პირველი გოლი არ უზეიმია.

## რიცხვები

**პოკერი:** პოციმდე სერია A-ში პოკერი 2005 წლის 1 მაისის შემდეგ არავის შეესრულებინა. მაშინ „პარმა“ — „ლივორნოს“ გიჟურ მატჩში (6:4) მასპინძელმა ალბერტო ჯილარდინომ და სტუმარმა კრისტიანო ლუკარელიმ ასევე ოთხ-ოთხი გაიტანეს. სულ კი სერია A-ს ისტორიაში პოკერი 83-ჯერ შესრულებულა, ერთ მოთამაშეს ხუთი გოლი 12-ჯერ გაუტანია, ხოლო ექვსი — მხოლოდ ორჯერ, ეს ლეგენდარულმა სილვიო პიოლამ და ომარ სივორიმ შეძლეს.

**დელ ნერი და „იუვე“:** „ატალანტას“ თავკაცი ლუიჯი დელ ნერი თავისი სამწვრთნელო კარიერისას „იუვენტუსს“ სხვადასხვა კლუბების თავკაცის რანგში ათჯერ შეხვედრია და ათივე შემთხვევაში დამარცხებულა.

**„იები“ სიცილიაზე:** 1961 წლის 4 ოქტომბერს კურტ ჰამრინის ერთადერი გოლით „ფიორენტინამ“ „პალერმოს“ მოუგო. „იებს“ „როზანეროსთვის“ სიცილიაზე მას მერე არ მოუგიათ. გარდა ამისა, ეს ფლორენციელთა პირველი საგარეო მარცხი გახლდათ მიმდინარე სერია A-ში. „პალერმოს“ მწვრთნელმა ფრანჩესკო გვიდოლინმა კი კლუბში მეოთხედ დაბრუნების შემდეგ თავისი პირველი გამარჯვება იზეიმა.

**კოკი კანდელაკი**

# ბოლომდე მებრძოლი იუვე



**ტურინის** „იუვენტუსმა“ „ატალანტასთან“ კი იწვალა, მაგრამ პაველ ნედველის გვიანი გოლით მაინც მოიგო და მესამე ადგილი შეინარჩუნა. „ბებერი ქალბატონი“ ლიდერ „ინტერს“ ისევ რვა ქულით ჩამორჩება, „რომას“ კი უკვე მხოლოდ სამით.

„ვიცით, რომ შემადგენლობით „ინტერი“ და „რომა“ ჩვენზე ძლიერები არიან, თუმცა ვეცდებით, ბოლომდე ვიბრძოლოთ სკუდეტოსთვის. „იუვენტუსს“ სხვანაირად არც შეუძლია — მუდამ გამარჯვებისთვისაა შემართული“ — აღნიშნა „იუვეს“ დამრიგებელმა კლაუდიო რანიერიმ.

ტურინელთა თავკაცმა მიჯრით მესამე მატჩში ძირითადი შემადგენლობის მიღმა დატოვა ალესანდრო დელ პიერო, რომელიც მეორე ტაიმში ჩართო თამაშში.

„ეს გადაწყვეტილება იმიტომ მივიღეთ, რომ ვინჩენცო იაკვინტა ახლა ჩინებულ ფორმაშია. „ატალანტასთან“ მატჩში მერჩივნა, მას დაეწყო ძირითადში და ალექსი მოგვიანებით ჩართულიყო თამაშში. რაც შეეხება ტიაგუ მენდეშსა და სერხიო ალმირონს, მათ შანსი არ დაუკარგავთ. უბრალოდ, კრისტიანო ძანეტი და ანტონიო ნოჩერინო წყვილში ახლა უკეთ თამაშობენ და ძირითადშიც ისინი ხვდებიან“ — დასძინა რანიერიმ.

„ტურინელებთან მართლაც სულ ვაგებ, მაგრამ ვცდილობ, ჭიქა ნახევრადსავსე დავინახო — ესე იგი, თუ „იუვენტუსს“ ჩემი კლუბები ხშირად შეხვედრიან, სერია A-ს ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი ვარ. არა უშავს, ქულებს სხვა კლუბებთან ავიღებთ, თან ბევრს. მიუხედავად მარცხისა, ჩვენი თამაშით ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან ძლიერ მეტოქეს არაფერი დავუთმეთ. სხვათა შორის, სანამ ნედველი დაარტყამდა, მორის კაროძიერის წაქცევისთვის ჯარიმა უნდა დანიშნულიყო, მაგრამ ახლა ამას მნიშვნელობა აღარ აქვს“ — განაცხადა ბერგამოელთა მწვრთნელმა ლუიჯი დელ ნერიმ.

**გიორგი კაკაბაძე**



# მანჩინი ფრთხილობს

**მილანის** „ინტერმა“ მორიგი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა და „ტორინოს“ ძალიან იოლად, 4:0 მოუგო. თუმცა „ნერაძურის“ მწვრთნელ რობერტო მანჩინის სკუდეტოზე და აშკარა ფავორიტობაზე ჯერ საუბრის გაგონებაც არ უნდა.

„მშვენიერად ვითამაშეთ და დამსახურებულად მოვიგეთ, მაგრამ მოდუნების უფლება არ გვაქვს. ყველა მატჩი სირთულეებითაა სავსე და ნებისმიერი მეტოქის დამარცხება ძნელია. კარგია, რომ „რომამ“ ვერ მოიგო და უკვე 5 ქულით ვუსწრებთ, მაგრამ სეზონის ბოლომდე ჯერ დიდი დროა. ასე რომ, ჩვენს შანსებს თანაბრად ვაფასებ. ნურც „იუვენტუსს“ დავივიწყებთ, რომელიც ევროთასებზე არ თამაშობს და ეს დიდი უპირატესობაა. რაც შეეხება ტრავმებს, ოლივიე დაკურისთვის სეზონი, სამწუხაროდ, დასრულებულია. ჯერ ზუსტად ვერ გეტყვით, როდის მომჯობინდებიან პატრიკ ვიეირა, ლუიშ ფიგუ და დეიან სტანკოვიჩი. ტრავმების ეპიდემიამ ჩემპიონთა ლიგის პლეიოფში შეიძლება პრობლემები შეგვიქმნას, მაგრამ იმედია, ასე არ იქნება. იანვარში ახალი მოთამაშეების დამატებას არ ვაპირებ“ — განაცხადა მანჩინიმ.

„ტორინოს“ მწვრთნელი ვალტერ ნოველინო: „0:0-ზე შანსები გვქონდა და ერთ-ერთი რომ გამოგვეყენებინა, სულ სხვა თამაში წავიდოდა. შემდეგ მოგონილი პენალტი დაგვინიშნეს... ასე თუ ისე, ოთხბურთიანი სხვაობით მარცხს არ ვიმსახურებდით. სამწუხაროა, რომ დავიდე დი მიკელე, ნიკოლა ვენტოლა და ალვარო რეკობა ახლახან მომჯობინდნენ და ჯერ სათანადო ფორმაში არ არიან“.

**კოკი კანდელაკი**

## მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი 2007

# ნაგაი ტელევიზორს შეხვდება

**მეოთხედფინალი**

**სეპაჰანი (ირანი) 1:3 ურავა რედსი (იაპონია)**

0:1 ნაგაი (32), 0:2 ვაშინგტონი (54), 0:3 ალილი (70ს.კ.), 1:3 ქარიმი (80)

**ნახევარფინალი**

**12 დეკემბერი**

**ეტუალ დუ საჰელი (ტუნისი) — ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)**

**13 დეკემბერი**

**ურავა რედსი (იაპონია) — მილანი (იტალია)**



სპარსელთა მარცხში წვლილი ბრაზილიელ ვაშინგტონსაც მიუძღვის

**„ურავამ“** გრიპშეყრილი „სეპაჰანი“ დაამარცხა და ხუთშაბათს ნახევარფინალში „მილანს“ ეთამაშება. იაპონიაში ჩასვლისთანავე ირანული კლუბის ფეხბურთელებს გრიპი შეეყარათ და ნამატჩევს მწვრთნელმა ლუკა ბონაჩიჩმა დაიჩივლა: „ბიჭები ჯანზე რომ ყოფილიყვნენ, სულ სხვა თამაში წავიდოდა, თუმც მეტოქემ გამარჯვება დაიმსახურა.“ ეს გუნდები წლეულს აზიის ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც დაეჯახნენ ერთმანეთს. ორმატჩიან დუელში იაპონელებმა 3:1 მოიგეს. ანგარიში განმეორდა.

„სეპაჰანს“ 26-ე წუთზე შეეძლო დაწინაურება, როცა ემად მოჰამედმა კარის წინ გაასრიალა ბურთი, მაგრამ ქაბირ ბელომ ვერ მიასწრო, ბადეში რომ შეეგდო. ამას ურაველებმა ორი მომენტით უპასუხეს. ნენეს დარტყმული მეკარე სავარიმ მოიგერია, ჰასებემ კი ახლოდან ააცილა. 31-ე წუთზე ჯაბა მუჯირი მეკარესთან პირისპირ გავიდა და რიოტა ცუზუკიმ არ გაატანინა. წუთის შემდეგ „ურავამ“ ანგარიში გახსნა — მარცხნიდან ჩაწოდებულზე იუიჩი ნაგაიმ იხეირა.

მეორე ტაიმის დაწყებისთანავე „სეპაჰანმა“ შეუტია, მაგრამ მოჰამედ სალეჰისა და ჰადი ჯაფარის დარტყმული ბურთები ტრიბუნისკენ გაფრინდა. ურაველმა ვაშინგტონმა მეტოქეებს მალევე აჩვენა, თუ როგორ უნდა დარტყმა. საჯარიმოში შესული ბრაზილიელი მეკარეს გასცდა და მახვილი კუთხიდან გაიტანა. 32 წლის ვაშინგტონმა კარიერაში ათი გუნდი გამოიცვალა და „ურავაში“ შარშან „ტოკიო ვერდიდან“ გადავიდა. სწორედ მისი წყალობით „ურავამ“ წლეულს პირველად იზეიმა იაპონიის ჩემპიონობა. ბრაზილიელმა 26 მატჩში ამდენივე გაიტანა. იგი 2002-ში „ფენერბაჩეში“ თამაშობდა და 12 შეხვედრაში ცხრის გატანა მოასწრო, მაგრამ გულთან დაკავშირებული პრობლემების გამო ფეხბურთისთვის დროებით თავის დანებება ურჩიეს. ვაშინგტონმა იმკურნალა, „ატლეტიკო პარანაენსეში“ მივიდა და 2004 წლის ბრაზილიის ჩემპიონატის მთავარმეგოლე გახდა 38 მატჩში 34 გატანილით. ამის შემდეგ მას „მამაცი გული“ შეარქვეს.

მოკლედ, „ურავამ“ მალე მესამეც შეაგდო, უფრო სწორად, სეპაჰანელმა ჰადი ალილიმ საკუთარ კარში ბურთი თავით ჩაჭრა, ამის მერე შეცვლაზე შესულმა მაჰმედ ქარიმიმ ერთი გაქვითა.

იუიჩი ნაგაიმ ნამატჩევს თქვა: „მილანის“ თამაში ტელევიზორში მინახავს და მასთან შეხვედრას მოუთმენლად ველი“.

მეორე ნახევარფინალი ხვალ გაიმართება — „ბოკა ხუნიორსი“ „ეტუალ დუ საჰელის“ წინააღმდეგ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ყველაფერში დამნაშავე დომენეკია?



ჯენარო გატუზო

**ჯენარო გატუზოს** აზრით, იტალიასა და საფრანგეთს შორის ბოლო დროს კიდევ უფრო გართულებული და დაძაბული ურთიერთობის შექმნაში მთავარი დამნაშავე რაიმონ დომენეკია. „რინოს“ თქმით, „მამლების“ მწვრთნელი უაზრო განცხადებებით ცეცხლზე ნავთს ასხამს ხოლმე.

შეგახსენებთ, რომ ყველაზე მწვავე განცხადება დომენეკმა რამდენიმე თვის წინ გააკეთა, როცა იტალია — საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრებების ძველი მატჩი გაიხსენა და აპენინელები მსაჯის მოსყიდვაში დაადანაშაულა.

რაკი დამადასტურებელი ფაქტები ვერ წარადგინა, უეფამ დომენეკი გარკვეული ფულადი ჯარიმით და ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. ფრანგთა თავკაცმა ამის მერეც გააკეთა იტალიელთათვის გამაღიზიანებელი რამდენიმე განცხადება...

ისიც ვქთვათ, რომ ბოლო წლებში ამ ისტორიულად დაპირისპირებული ქვეყნების საფეხბურთო გზები ხშირად იკვეთება. 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში „მამლებმა“ „სკუადრა აძურას“ დამატებით დროში მოუგეს. 2006 წლის მუნდიალის ფინალში კი გამარჯვება პენალტების სერიაში უკვე აპენინელებს დარჩათ.

ეს ქვეყნები ერთად მოხვდნენ ევრო 2008-ის შესარჩევი ეტაპის ჯგუფშიც, სადაც ფრანგებმა შინ მოიგეს, სტუმრად კი ფრედ ითამაშეს. მიუხედავად ამისა, ჯგუფში პირველ ადგილზე იტალია გავიდა.

ახლა კი ისინი ევრო 2008-ის ფინალურ ეტაპზე „სიკვდილის ჯგუფშიც“ ერთად არიან ჰოლანდიისა და რუმინეთის თანხლებით და მათ შორის სიტყვიერი ომიც გრძელდება.

„იტალიელები პროვოკაციაზე წამოგაგებენ ხოლმე და მერე ყველაფერს შენ გაბრალებენ“ — თქვა ცოტა ხნის წინ გაბრაზებულმა დომენეკმა და „სკუადრა აძურაზე“ საუბარი აღარ ისურვა.

ახლახან გატუზომ თქვა, გამიხარდა, ისევ ერთ ჯგუფში რომ მოვხვდით, ფრანგებს კარგი გაკვეთილი უნდა ჩავუტაროთო. თუმცა CANAL+-სთან საუბარში „რინომ“ ტონი ცოტა შეარბილა.

„ფრანგთა მხრიდან ერთადერთი კაცი, რომელიც სისულელეებს ლაპარაკობს, დომენეკია. მისი აბსურდული კომენტარები ერთმანეთისადმი უარყოფითად განგვაწყობს ხოლმე. ყველაზე ცუდი კი ის გახლავთ, რომ ეს არის ყოვლად უაზრო დაპირისპირება. საკმარისია, ვინმემ ორი ზედმეტი სიტყვა თქვას და ვითარება უმალვე საშინლად იძაბება, ეს კი ძალიან არ მომწონს“ — თქვა გატუზომ.

**გიორგი ძაძამიძე**



# იუვენტუსი ლამპარდს უახლოვდება

**ბრიტანულ-იტალიური** პრესის თანახმად, ლონდონის „ჩელსის“ ნახევარმცველი ფრენკ ლამპარდი ტურინის „იუვენტუსში“ გადასვლას სულ უფრო და უფრო უახლოვდება. შეგახსენებთ, რომ ამ სავარაუდო ტრანსფერზე დიდი ხანია საუბრობენ.

„ტუტოსპორტის“ ცნობით, 28 წლის ინგლისელსა და „ბებერ ქალბატონს“ შორის შეთანხმება თითქმის მიღწეულია. უბრალოდ, ლამპარდი სეზონში შემოთავაზებული 6 მილიონი ევროს ნაცვლად დაახლოებით მილიონით მეტს ითხოვს. „იუვესთვის“ კი მთავარი პრობლემა ის ყოფილა, რომ თუ ლამპარდის პირობას დათანხმდება, გუნდის სხვა ვარსკვლავებისთვისაც მოუწევს ხელფასის გაზრდა.

**ძოძი ძანძღლაძი**

## ამაური იანვარში არ წავა

**სიცილიური** „პალერმოს“ იტალიური ფესვების მქონე ბრაზილიელი ფორვარდი ამაური ჩინებულ ფორმაშია და მრავალი მსურველი ჰყავს. პირველ რიგში მას „მილანსა“ და „რომას“ უკავშირებენ, მაგრამ ამაურის აგენტის ვიტორიო გრიმალდის თქმით, ბრაზილიელი იანვარში კლუბს არ გამოიცვლის.

„გარწმუნებთ, ამაური ივნისამდე „პალერმოში“ დარჩება. სიცილიურ კლუბთან ჩინებული ურთიერთობა გვაქვს და მოგვიანებით მის მომავალზე ერთად ვიმსჯელებთ. ამაურის იტალიური პასპორტი ჯერ არ მიუღია. იმედია, ეს საკითხი სეზონის ბოლომდე გადაიჭრება და ამაური მერე გადაწყვეტს, იტალიის ნაკრებში ითამაშოს თუ ბრაზილიაში“ — განაცხადა გრიმალდიმ.

## რედნაპმა მუტუ უარყო

**ინგლისური** „პორტსმუთის“ მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა უარყო ინფორმაცია, თითქოს მას „ფიორენტინას“ რუმინელი ლიდერის ადრიან მუტუს შეძენა სურდეს.

„კარგი ფეხბურთელია, მაგრამ მის შეძენაზე არასდროს მიფიქრია. არ ვიცი, საიდან მოდის ეს ჭორები“ — აღნიშნა რედნაპმა.

მუტუ 2006 წლის ზაფხულის მერე „ფიორენტინაშია“, სადაც 51 მატჩში 23 გოლი აქვს გატანილი. მას კიდევ რამდენიმე კლუბს უკავშირებენ, რომელთა შორის მადრიდის „რეალიცაა“.

## ტიაგუ პსჟ-ში?

**იტალიური** „იუვენტუსის“ გასული ზაფხულის ყველაზე ძვირფასი შენაძენი ტიაგუ მენდეში კვლავ საშინლად თამაშობს და მის წასვლაზე საუბარი არ წყდება.

გავრცელებული ცნობით, პორტუგალიელი ნახევარმცველის თხოვება იანვარში პსჟ-ს სურს და პარიზულ კლუბს უკვე მიუმართავს კიდეც „იუვესთვის“ შესაბამისი წინადადებით. ამბობენ, დიდი შანსია, ტურინელებმა პსჟ-ს შეთავაზებაზე თანხმობა თქვან, სანაცვლოდ კი ასტონვილელი ოლოფ მელბერგის, ლივერპულელი მომო სისოკოს ან სპორტინგელი მიგელ ველოსუს დამატება სცადონ.

## ჩელსი მაკარტით დაინტერესდა

**„დეილი მეილის“** ცნობით, ლონდონის „ჩელსიმ“ თვალი „ბლექბერნის“ ფორვარდ ბენი მაკარტის დაადგა. 30 წლის სამხრეთაფრიკელს „როვერსის“ თავკაც მარკ ჰიუზთან ურთიერთობა დაეძაბა და „ივუდ პარკიდან“ მის სავარაუდო წასვლაზე აქტიურად ალაპარაკდნენ. მაკარტით დაინტერესებულნი გლაზგოური კლუბები, „სელტიკი“ და „რეინჯერსიც“ ყოფილან.

## გუარდადო მიზანში ამოიღეს

**ლა კორუნიის** „დეპორტივოს“ გარემარბს ანდრეს გუარდადოს „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „არსენალი“ კვლავ უტრიალებენ. 21 წლის მექსიკელი პრიმერადივიზიონში ერთ-ერთი საუკეთესოა თავის პოზიციაზე და ძვირადაც ფასობს. ორი ინგლისური გრანდი კი მას „ატლასში“ თამაშისასაც აკვირდებოდა. „წითელი ეშმაკებისა“ და „მეთოფეების“ გარდა გუარდადო იტალიური „მილანის“ სამიზნეც ყოფილა, მაგრამ მისი გამოსყიდვა მსურველებისთვის არცთუ იაფი და იოლი საქმე იქნება. მით უმეტეს, რომ გუარდადოზე უფლებების მეოთხედს „ატლასი“ ინარჩუნებს.

**ძოძი ძანძღლაძი**

**მექსიკა**

აპერტურა. პლეი ოფი

ფინალი. საპასუხო მატჩი

ატლანტე 2:1 უნამი (0:0)

**ჩილე**

კლაუსურა. პლეი ოფი

1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი

უნივ. დე ჩილე 2:1 კობრელოა (4:2)

**პორტუგალია**

თასის III ეტაპი

ბენფიკა 3:1 აკადემიკა

**არგენტინა**

აპერტურა. XIX ტური

ველესი 1:2 ურაკანი

# სარბიელი და კრონო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წარმოგიდგენთ

| დრო | № | მატჩი | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | |
| | | **15 დეკემბერი** | | | | | | | |
| 19:00 | 1 | სანდერლენდი-ასტონ ვილა | | 3.00 | 3.10 | 2.25 | 1.52 | 1.28 | 1.30 |
| 19:00 | 2 | ვესტ ჰემი-ევერტონი | | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 19:00 | 3 | უიგანი-ბლეკბერნი | | 3.00 | 3.10 | 2.25 | 1.52 | 1.28 | 1.30 |
| 19:00 | 5 | ბირმინგემი-რედინგი | | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| 19:00 | 6 | დერბი-მიდლსბრო | | 2.75 | 3.20 | 2.40 | 1.47 | 1.28 | 1.37 |
| 21:15 | 7 | ფულემი-ნიუკასლი | | 2.30 | 3.10 | 2.90 | 1.32 | 1.28 | 1.49 |
| 19:00 | 9 | სიტი-ბოლტონი | | 1.70 | 3.40 | 4.70 | 1.13 | 1.24 | 1.97 |
| 19:00 | 11 | პორტსმუთი-ტოტენჰემი | | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| | | **16 დეკემბერი** | | | | | | | |
| 20:00 | 4 | არსენალი-ჩელსი | | 2.30 | 3.10 | 2.90 | 1.32 | 1.28 | 1.49 |
| 17:30 | 8 | ლივერპული-მანჩესტერი | | 2.50 | 3.10 | 2.70 | 1.38 | 1.29 | 1.44 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | | |
| | | **11 დეკემბერი** | | | | | | | |
| 23:45 | 12 | ბლეკპული-კარდიფი | | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 23:45 | 13 | ბარნსლი-ქპრ | | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 23:45 | 14 | იფსვიჩი-ლესტერი | | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | |
| | | **11 დეკემბერი** | | | | | | | |
| 23:45 | 78 | სელტიკი-ფოლკირკი | | 1.15 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.77 |
| 23:45 | 79 | სელტიკი-ფოლკირკი | 0:1 | 1.55 | 3.70 | 4.30 | | | |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)** | | | | | | | |
| | | **11 დეკემბერი** | | | | | | | |
| 23:45 | 88 | დორტმუნდი(მ)-ბაბელსბერგი | | 1.55 | 3.50 | 5.00 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | | |
| | | **11 დეკემბერი** | | | | | | | |
| 23:45 | 297 | მარსელი-ლივერპული | | 4.00 | 3.40 | 1.80 | 1.83 | 1.24 | 1.17 |
| 23:45 | 298 | პორტუ-ბეშიქთაში | | 1.45 | 3.90 | 7.50 | 1.05 | 1.21 | 2.56 |
| 23:45 | 299 | პორტუ-ბეშიქთაში | 0:1 | 2.15 | 3.50 | 2.70 | | | |
| 23:45 | 300 | ჩელსი-ვალენსია | | 1.75 | 3.40 | 4.30 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 23:45 | 301 | ჩელსი-ვალენსია | 0:1 | 2.90 | 3.50 | 2.00 | | | |
| 23:45 | 302 | შალკე-როზენბორგი | | 1.30 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 3.00 |
| 23:45 | 303 | შალკე-როზენბორგი | 0:1 | 1.95 | 3.50 | 2.90 | | | |
| 23:45 | 304 | რეალი-ლაციო | | 1.40 | 4.20 | 7.60 | 1.04 | 1.18 | 2.70 |
| 23:45 | 305 | რეალი-ლაციო | 0:1 | 2.05 | 3.50 | 2.80 | | | |
| 23:45 | 306 | ოლიმპიაკოსი-ვერდერი | | 2.70 | 3.20 | 2.50 | 1.46 | 1.29 | 1.40 |
| | | **12 დეკემბერი** | | | | | | | |
| 23:45 | 307 | რეინჯერსი-ლიონი | | 2.95 | 3.20 | 2.25 | 1.53 | 1.27 | 1.32 |
| 23:45 | 308 | ბარსელონა-შტუტგარტი | | 1.40 | 4.00 | 7.50 | 1.03 | 1.17 | 2.60 |
| 23:45 | 309 | ბარსელონა-შტუტგარტი | 0:1 | 2.10 | 3.50 | 2.80 | | | |
| 23:45 | 310 | რომა-მანჩესტერი | | 2.00 | 3.30 | 3.50 | 1.24 | 1.27 | 1.69 |
| 23:45 | 311 | სპორტინგი-დინამო კ | | 1.60 | 3.40 | 5.30 | 1.08 | 1.22 | 2.07 |
| 23:45 | 312 | პსვ-ინტერი | | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 23:45 | 313 | ფენერბაჰჩე-ცსკა მ | | 1.25 | 5.20 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.36 |
| 23:45 | 314 | ფენერბაჰჩე-ცსკა მ | 0:1 | 1.75 | 3.50 | 3.60 | | | |
| 23:45 | 315 | არსენალი-სტიაუა ბჟ | | 1.25 | 5.20 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.42 |
| 23:45 | 316 | არსენალი-სტიაუა ბჟ | 0:1 | 1.75 | 3.50 | 3.60 | | | |
| 23:45 | 317 | სლავია-სევილია | | 3.90 | 3.30 | 1.90 | 1.78 | 1.27 | 1.20 |
| | | **ინგლისი. FA Cup** | | | | | | | |
| | | **11 დეკემბერი** | | | | | | | |
| 23:45 | 70 | ბარნეტი-ბარტონი | | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 23:45 | 71 | ჩეისთაუნი-პორტ ვეილი | | 5.30 | 3.30 | 1.65 | 2.03 | 1.25 | 1.10 |
| 23:45 | 72 | ლუტონი-ნოტინგემი | | 2.65 | 3.10 | 2.40 | 1.42 | 1.25 | 1.35 |
| 23:45 | 73 | საუთენდი-ოქსფორდი | | 1.45 | 3.70 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.28 |
| 23:45 | 74 | უოლსოლი-ნორთჰემპტონი | | 1.70 | 3.40 | 4.00 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| | | **ინგლისი. Curling Cup** | | | | | | | |
| | | **12 დეკემბერი** | | | | | | | |
| 23:45 | 80 | ვესტ ჰემი-ევერტონი | | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| | | **ესპანეთი. თასი** | | | | | | | |
| | | **12 დეკემბერი** | | | | | | | |
| 22:00 | 83 | ელჩე-ბეტისი | | 2.90 | 3.00 | 2.40 | 1.47 | 1.31 | 1.33 |
| 23:45 | 84 | ბურგოსი-ხეტაფე | | 5.50 | 3.40 | 1.55 | 2.10 | 1.20 | 1.06 |
| 23:45 | 85 | გრანადა-ატლეტიკო | | 4.50 | 3.30 | 1.70 | 1.90 | 1.23 | 1.12 |
| | | **იტალია თასი** | | | | | | | |
| | | **11 დეკემბერი** | | | | | | | |
| 23:30 | 323 | ასკოლი-ფიორენტინა | | 4.90 | 3.30 | 1.65 | 1.97 | 1.23 | 1.10 |
| | | **12 დეკემბერი** | | | | | | | |
| 23:30 | 319 | კალიარი-სამპდორია | | 2.25 | 3.10 | 2.90 | 1.30 | 1.26 | 1.49 |
| | | **ჰოკეი. ნაკრებები.ამხანაგური მატჩები** | | | | | | | |
| | | **11 დეკემბერი** | | | | | | | |
| 20:30 | 86 | ჩეხეთი-სლოვაკეთი | | 1.50 | 4.30 | 3.80 | 1.11 | 1.07 | 2.01 |
| | | **12 დეკემბერი** | | | | | | | |
| 22:30 | 87 | გერმანია-შვეიცარია | | 2.20 | 4.10 | 2.20 | 1.43 | 1.10 | 1.43 |
| | | **კალათბურთი. ევროლიგა** | | | | | | | |
| | | **12 დეკემბერი** | | | | | | | |
| 23:30 | 545 | ტაუ-ოლიმპიაკოსი | | 1.45 | 12.00 | 2.50 | 1.29 | 1.00 | 2.06 |
| 23:45 | 550 | უნიკახა-არისი | | 1.12 | 12.00 | 4.30 | 1.02 | 1.00 | 3.16 |
| 22:15 | 551 | ეფესი-ციბონა | | 1.20 | 12.00 | 4.00 | 1.09 | 1.00 | 3.00 |
| 22:15 | 552 | რიტასი-მილანი | | 1.20 | 12.00 | 4.00 | 1.09 | 1.00 | 3.00 |
| | | **13 დეკემბერი** | | | | | | | |
| 23:45 | 546 | ბარსელონა-პარტიზანი | | 1.10 | 12.00 | 5.30 | 1.00 | 1.00 | 3.67 |
| 22:15 | 547 | ჟალგირისი-ვ.ბოლონია | | 1.20 | 12.00 | 3.30 | 1.09 | 1.00 | 2.58 |
| 23:45 | 549 | ოლიმპია-სიენა | | 3.20 | 12.00 | 1.25 | 2.52 | 1.00 | 1.13 |
| 23:30 | 553 | ლე მანი-მაკაბი | | 2.40 | 12.00 | 1.45 | 2.00 | 1.00 | 1.29 |
| 23:45 | 554 | რეალი-ფენერბაჰჩე | | 1.10 | 12.00 | 5.30 | 1.00 | 1.00 | 3.67 |
| | | **ხელბურთი.ქალები მსოფლიო ჩემპიონატი.საფრანგეთი.** | | | | | | | |
| | | **11 დეკემბერი** | | | | | | | |
| 23:45 | 77 | ხორვატია-მაკედონია | | 1.60 | 9.00 | 2.70 | 1.35 | 1.00 | 2.07 |
| 19:30 | 81 | რუსეთი-ანგოლა | | 1.20 | 9.00 | 5.00 | 1.05 | 1.00 | 3.21 |
| 22:15 | 82 | საფრანგეთი-ნორვეგია | | 5.00 | 10.00 | 1.20 | 3.33 | 1.00 | 1.07 |
| | | **მსოფლიო ჩემპიონატი კლუბებს შორის. იაპონია** | | | | | | | |
| | | **12 დეკემბერი** | | | | | | | |
| 14:30 | 76 | ბოკა ხუნიორსი-ე.ს.ს(ტუნისი) | | 1.30 | 4.40 | 9.50 | 1.00 | 1.14 | 3.00 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10012 | ბლეკპული-კარდიფი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10013 | ბარნსლი-ქპრ | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10014 | იფსვიჩი-ლესტერი | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10080 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10297 | მარსელი-ლივერპული | 4.40 | 2.00 | 2.20 | 1.37 | 1.46 | 1.04 |
| 10298 | პორტუ-ბეშიქთაში | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10300 | ჩელსი-ვალენსია | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10302 | შალკე-როზენბორგი | 1.60 | 2.30 | 7.50 | 1.00 | 1.31 | 1.76 |
| 10304 | რეალი-ლაციო | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10306 | ოლიმპიაკოსი-ვერდერი | 3.10 | 2.00 | 2.85 | 1.21 | 1.48 | 1.17 |
| 10307 | რეინჯერსი-ლიონი | 3.35 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.46 | 1.13 |
| 10308 | ბარსელონა-შტუტგარტი | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10310 | რომა-მანჩესტერი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10311 | სპორტინგი-დინამო კ | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10312 | პსვ-ინტერი | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10313 | ფენერბაჰჩე-ცსკა მ | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10315 | არსენალი-სტიაუა ბჟ | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10317 | სლავია-სევილია | 4.30 | 2.00 | 2.20 | 1.36 | 1.45 | 1.04 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11012 | ბლეკპული-კარდიფი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11013 | ბარნსლი-ქპრ | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11014 | იფსვიჩი-ლესტერი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11080 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11297 | მარსელი-ლივერპული | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11298 | პორტუ-ბეშიქთაში | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11300 | ჩელსი-ვალენსია | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11302 | შალკე-როზენბორგი | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11304 | რეალი-ლაციო | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11306 | ოლიმპიაკოსი-ვერდერი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11307 | რეინჯერსი-ლიონი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11308 | ბარსელონა-შტუტგარტი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11310 | რომა-მანჩესტერი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11311 | სპორტინგი-დინამო კ | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11312 | პსვ-ინტერი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11313 | ფენერბაჰჩე-ცსკა მ | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11315 | არსენალი-სტიაუა ბჟ | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11317 | სლავია-სევილია | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12012 | ბლეკპული-კარდიფი | 1.70 | 1.90 |
| 12013 | ბარნსლი-ქპრ | 1.70 | 1.90 |
| 12014 | იფსვიჩი-ლესტერი | 1.70 | 1.90 |
| 12080 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 12297 | მარსელი-ლივერპული | 1.60 | 2.00 |
| 12298 | პორტუ-ბეშიქთაში | 1.70 | 1.90 |
| 12300 | ჩელსი-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 12302 | შალკე-როზენბორგი | 1.90 | 1.70 |
| 12304 | რეალი-ლაციო | 2.00 | 1.60 |
| 12306 | ოლიმპიაკოსი-ვერდერი | 2.00 | 1.60 |
| 12307 | რეინჯერსი-ლიონი | 1.60 | 2.00 |
| 12308 | ბარსელონა-შტუტგარტი | 1.90 | 1.70 |
| 12310 | რომა-მანჩესტერი | 1.80 | 1.80 |
| 12311 | სპორტინგი-დინამო კ | 1.70 | 1.90 |
| 12312 | პსვ-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 12313 | ფენერბაჰჩე-ცსკა მ | 1.90 | 1.70 |
| 12315 | არსენალი-სტიაუა ბჟ | 2.00 | 1.60 |
| 12317 | სლავია-სევილია | 1.70 | 1.90 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13080 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 13297 | მარსელი-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 13298 | პორტუ-ბეშიქთაში | 1.80 | 1.80 |
| 13300 | ჩელსი-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 13302 | შალკე-როზენბორგი | 1.70 | 1.90 |
| 13304 | რეალი-ლაციო | 1.90 | 1.70 |
| 13306 | ოლიმპიაკოსი-ვერდერი | 1.70 | 1.90 |
| 13307 | რეინჯერსი-ლიონი | 1.70 | 1.90 |
| 13308 | ბარსელონა-შტუტგარტი | 1.90 | 1.70 |
| 13310 | რომა-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 13311 | სპორტინგი-დინამო კ | 1.90 | 1.70 |
| 13312 | პსვ-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 13313 | ფენერბაჰჩე-ცსკა მ | 1.90 | 1.70 |
| 13315 | არსენალი-სტიაუა ბჟ | 1.90 | 1.70 |
| 13317 | სლავია-სევილია | 1.70 | 1.90 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14012 | ბლეკპული-კარდიფი | 1.80 | 2.00 |
| 14013 | ბარნსლი-ქპრ | 1.45 | 2.40 |
| 14014 | იფსვიჩი-ლესტერი | 1.65 | 2.30 |
| 14080 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 1.80 | 2.00 |
| 14297 | მარსელი-ლივერპული | 2.30 | 1.65 |
| 14298 | პორტუ-ბეშიქთაში | 1.20 | 2.60 |
| 14300 | ჩელსი-ვალენსია | 1.45 | 2.40 |
| 14302 | შალკე-როზენბორგი | 1.08 | 2.90 |
| 14304 | რეალი-ლაციო | 1.20 | 2.60 |
| 14306 | ოლიმპიაკოსი-ვერდერი | 1.95 | 1.85 |
| 14307 | რეინჯერსი-ლიონი | 2.00 | 1.80 |
| 14308 | ბარსელონა-შტუტგარტი | 1.20 | 2.60 |
| 14310 | რომა-მანჩესტერი | 1.70 | 2.20 |
| 14311 | სპორტინგი-დინამო კ | 1.30 | 2.50 |
| 14312 | პსვ-ინტერი | 1.75 | 2.10 |
| 14317 | სლავია-სევილია | 2.20 | 1.70 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15012 | ბლეკპული-კარდიფი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | ბარნსლი-ქპრ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15014 | იფსვიჩი-ლესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15080 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15297 | მარსელი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15300 | ჩელსი-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15306 | ოლიმპიაკოსი-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15307 | რეინჯერსი-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15310 | რომა-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15311 | სპორტინგი-დინამო კ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15312 | პსვ-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15317 | სლავია-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფორის გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16012 | ბლეკპული-კარდიფი | 1.65 | 2.05 |
| 16013 | ბარნსლი-ქპრ | 1.24 | 3.60 |
| 16014 | იფსვიჩი-ლესტერი | 1.32 | 3.00 |
| 16080 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 1.65 | 2.05 |
| 16297 | მარსელი-ლივერპული | 2.90 | 1.32 |
| 16298 | პორტუ-ბეშიქთაში | 1.12 | 4.60 |
| 16300 | ჩელსი-ვალენსია | 1.25 | 3.40 |
| 16304 | რეალი-ლაციო | 1.11 | 5.70 |
| 16306 | ოლიმპიაკოსი-ვერდერი | 1.80 | 1.80 |
| 16307 | რეინჯერსი-ლიონი | 2.05 | 1.62 |
| 16308 | ბარსელონა-შტუტგარტი | 1.11 | 5.70 |
| 16310 | რომა-მანჩესტერი | 1.40 | 2.55 |
| 16311 | სპორტინგი-დინამო კ | 1.22 | 3.40 |
| 16312 | პსვ-ინტერი | 1.50 | 2.30 |
| 16317 | სლავია-სევილია | 2.90 | 1.32 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17012 | ბლეკპული-კარდიფი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | ბარნსლი-ქპრ | 1.85 | 1.95 |
| 17014 | იფსვიჩი-ლესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17080 | ვესტ ჰემი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17297 | მარსელი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17298 | პორტუ-ბეშიქთაში | 1.85 | 1.95 |
| 17300 | ჩელსი-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17302 | შალკე-როზენბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17304 | რეალი-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17306 | ოლიმპიაკოსი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17307 | რეინჯერსი-ლიონი | 1.85 | 1.95 |
| 17308 | ბარსელონა-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17310 | რომა-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17311 | სპორტინგი-დინამო კ | 1.85 | 1.95 |
| 17312 | პსვ-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17313 | ფენერბაჰჩე-ცსკა მ | 1.85 | 1.95 |
| 17315 | არსენალი-სტიაუა ბჟ | 1.85 | 1.95 |
| 17317 | სლავია-სევილია | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**



# ცინცაძის ორსახოვნება

**გასული კვირის მთავარი გმირი ისევ გიორგი ცინცაძე იყო. საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა გასულ შვიდდღეულში იმედგაცრუებაც ნახა და გაიხარა კიდეც. ბალტიის ლიგის მატჩებში ცინცაძემ ჯერ სრული ფიასკო განიცადა, ხოლო გასული ტურის უპრინციპულეს მატჩში თავისიანებს გაამარჯვებინა**

### ესტონეთი

გიორგი ცინცაძის „როკმა“ გასულ კვირაში მხოლოდ ბალტიის ლიგის მატჩები გამართა, შიდაჩემპიონატში კი ისვენებდა. ჯერ იყო და, „როკერებმა“ სამარცხვინოდ წააგეს, ხოლო გუშინწინ თანამემამულე „კალევის“ ძლევით ძალიან გაიხარეს.

ლატვიაში „ბარონსთან“ მოსაგებად ჩასული „როკი“ სამშობლოში 27-ქულიანი მარცხით დაბრუნდა და ეს მატჩი კარგა ხანს ემახსოვრება გიორგი ცინცაძეს და არა იმიტომ, რომ მისმა გუნდმა წააგო, არამედ საკუთარი უხეირობის გამო. ცინცაძემ „ბარონსს“ 9 ცდიდან ერთხელაც ვერ ჩაუგდო და მოედანი უქულოდ დატოვა.

ამ წარუმატებლობას ქართველ გამთამაშებელზე არ უმოქმედია. მომდევნო ტურში ცინცაძე მატჩის გმირი და მოსისხლე „კალევის“ დამამარცხებელი შეიქნა. მართალია, გიოს ქულების წვიმა არ დაუტეხია მეტოქისთვის, მაგრამ ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში ივაჟკაცა და „როკს“ გაამარჯვებინა.

თანაბარი თამაშის ბოლოს ვითარება უკიდურესად დაიძაბა. გადამწყვეტ მეოთხედამდე ცინცაძეს მხოლოდ 2 ქულა ჰქონდა, თუმცა მერე საკუთარ თავზე აიღო თამაში და ბოლო ათწუთეულში 8 ქულა მოინადირა. აქედან ბოლო 2 ქულა საფინალო სირენამდე 15 წამით ადრე მოიხვეჭა საჯარიმოს ხაზიდან. ქართველის ზუსტი სროლების შემდეგ „როკი“ 70:67 გალიდერდა და დარჩენილ წამებში ანგარიში უცვლელად შეინახა.

### რუსეთი

ვლადიმერ ბოისას „სპარტაკ-პრიმორიესაც“ ორჯერ მოუხდა გასულ კვირაში თამაში. სამწუხაროდ, ვლადივოსტოკელებმა ორივე მატჩი წააგეს, თუმცა ბოლომდე იბრძოლეს და გადამწყვეტ მომენტში აღარ გაუმართლათ.

პრიმორიელებმა შინ ვერაფერი მოუხერხეს სურგუტის „უნივერსიტეტს“ და 4 ქულით დამარცხდნენ. ბოისამ 17 წუთში 7 ქულა, 3 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 პასი და 1 დაფარება მიაშველა სპარტაკელებს.

შაბათს კი ვლადივოსტოკელები როსტოვში „ლოკომოტივს“ დაეჭიდნენ და დრამატულ, ოვერტაიმიან ბრძოლაში წააგეს. ბოისა შედარებით მოკრძალებული იყო — 23 წუთში მხოლოდ 2 ქულა და ამდენივე მოხსნა მიითვალა.

### იტალია

ნიკოლოდ ცქიტიშვილმა წარმატებული თამაშების მერე მნიშვნელოვნად მოუკლო. მართალია, სათამაშო დრო არ შეუმცირეს, მაგრამ როგორც სეზონის დასაწყისში, ისე ვეღარ ჩაუქობს. „ტერამომ“ სერია A-ს გასულ ტურში „სკავოლინისთან“ სტუმრად 77:81 წააგო. ქართველმა ფორვარდ-ცენტრმა 23 წუთი ითამაშა და 6 ქულას 3 მოხსნაც მოაყოლა.

### უკრაინა

მანუჩარ მარკოიშვილის „ბკ კიევმა“ გასულ კვირაში ულებ-ის თასზე ბრიტანული „არტლენდი“ დაამარცხა, უკრაინის ჩემპიონატში კი „ჩერკასკი მავპი“ შეიწირა და ქართველმა უკანახაზელმა ორივეჯერ სტაბილურად ითამაშა.

ბრიტანელებთან „მანუმ“ 12 ქულა მოიხვეჭა 16 წუთში, ხოლო ჩერკასკელებთან 10-ს დასჯერდა, თუმცა მოედანზე მყოფთაგან უმეტესი, 5 ჩაჭრა გააზერხა, რაც ზოგადად საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

### ესპანეთი

ტაისონ ელისსა და მის „კახასოლს“ სულ ცოტა დააკლდათ, პრიმერადივიზიონის სახელოვანი ბინადარ „ხუვენტუდის“ დამარცხებამდე სევილიელებმა ბოლო წუთებზე, 85:89 წააგეს, ქართულპასპორტიანი ამერიკელის ანგარიშზე კი 10 ქულა, 5 მოხსნა და 4 პასი დაგროვდა. ყველაფერ ამის შეგროვებას ელისმა 31 წუთი დააჭირვა.

**ირაკლი ბერტაია**

# პატ რაილის რეალური სახე

## 1200 მოგება და მოგონებანი გარდასულ დღეთა

9 დეკემბერი

**კლიპერსი 94:100 მაიამი**

**კლიპერსი:** მაგეტი (24 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი), კამანი (14 ქულა, 12 მოხსნა), მობლი (14)

**მაიამი:** ვეიდი (35 ქულა, 10 პასი), პარლემი (17), დევისი (17)

**ტორონტო 93:80 ჰიუსტონი**

**ტორონტო:** ბოში (21 ქულა, 10 მოხსნა, 4 დაფარება), ჰამფრიზი (16)

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (23), მინი (15)

**პორტლენდი 117:113 მილუოკი**

*ძირითადი დრო 105:105*

**პორტლენდი:** როი (26 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა), ოლდრიჯი (24), აუთლოო (20), ბლეიკი (19)

**მილუოკი:** უილიამსი (33), ვილანუევა (19), რედი (18), ბოგუტი (21)

**დეტროიტი 104:85 შარლოტი**

**დეტროიტი:** ბილაფსი (20), მაკდაიესი (19), ჰამილტონი (18)

**შარლოტი:** რიჩარდსონი (15), ოკაფორი (14)

**ვაშინგტონი 104:89 ნიუ ჯერსი**

**ვაშინგტონი:** ბატლერი (28), ჯემისონი (20 ქულა, 10 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (30), ნახბარი (19), კიდი (13 ქულა, 13 პასი, 10 მოხსნა)

**ნიუ ორლეანი 91:88 სიეტლი**

**ნიუ ორლეანი:** პოლი (29 ქულა, 10 პასი), ვესტი (15 ქულა, 10 მოხსნა)

**სიეტლი:** დურანტი (23), შჩერბიაკი (14), უილკოქსი (13 ქულა, 12 მოხსნა)

**ლეიკერსი 123:113 გოლდენ სტეიტი**

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (28), ბინამი (20 ქულა, 11 მოხსნა, 5 დაფარება), ფიშერი (15), რადმანოვიჩი (14), ოდომი (14 ქულა, 10 მოხსნა)

**გოლდენ სტეიტი:** დევისი (20 ქულა, 8 მოხსნა, 7 პასი, 4 ჩაჭრა), ჯეკსონი (18), პიეტრუსი (14)



„მაიამი ჰითმა“ ლოს ანჯელესში იქაურ „კლიპერსს“ მოუგო და როგორც იქნა, მისი ღვაწლმოსილი მწვრთნელის პატ რაილის წლებისგან დაღარულ სახეზეც გაჩნდა ღიმილის მსგავსი. „მაიამის“, არცთუ შორეულ წარსულში გოროზ 8 გუნდს, 2006 წლის ჩემპიონს, ტრავმების და სხვა მიზეზთა გამო, რბილად რომ ვთქვათ, იდეალურად ვერ მისდიოდა საქმე. წინა ხუთი თამაში წააგო და ლოს ანჯელესში 4-14 ბალანსით ზურგ და გონებადამძიმებული ჩავიდა.

„ორი ღამის წინ, როცა „გოლდენ სტეიტთან“ წაგების შემდეგ ლოს ანჯელესში ჩამოვედით, თავს საზიზღრად ვგრძნობდი — ყვება რაილი — ჩემი ცოლი დამხვდა ამ ქალაქში და ჩვენ „ოთხი სეზონის“ სასტუმროში მე-19 სართულზე დავბინავდით. ნერვები საშინელ დღეში მქონდა, აივანზე გავედი და ქალაქს გადავხედე... და აქ მესმის ცოლის ხმა: „ძვირფასო, არ ქნა ეგ, არ ღირს მაგად“... თავის მოკვლა არც მიფიქრია, მაგრამ, როგორც ჩანს, ისეთი გამომეტყველება მქონდა, რომ ცოლს სუიციდური სინდრომით შეპყრობილი ვეგონე“.

პატ რაილი დეპრესიიდან თავისი გუნდის ლიდერმა დუეინ ვეიდმა გამოიყვანა, რომელმაც სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. 35 ქულა, 10 პასი და 5 მოხსნა გააკეთა და „მაიამის“ ბოლო ექვს მატჩში პირველი გამარჯვებისკენ გაუძღვა. ხოლო პატ რაილისვის ეს გამარჯვება 24-წლიან კარიერაში 1200-ე გამოდგა და ლენი ვილკენსისა და დონ ნელსონის შემდეგ იგი ნბა-ს ისტორიაში მესამე მწვრთნელი გახდა, ვინც ამ მრგვალ რიცხვს მიუკაკუნა.

„ძალიან მიყვარს ეს ქალაქი. ლოს ანჯელესში გავატარე ჩემი კარიერის უბედნიერესი წლები და ამ 1200 გამარჯვების ნახევარი (დაზუსტებით 533) აქაურ „ლეიკერსთან“ ერთად მოვიგე. კარგი დრო იყო 80-იანი წლები, კარგი გუნდი მყავდა, დიდებული მოთამაშეები. თქვენც იცით, ვისზე ვლაპარაკობ. ვიცი, ამის გამგონე დუეინი იფიქრებს, რომ დავჩაჩანაკდი, მაგრამ არა უშავს“ — მოკლედ, დიდი პატ მასწავლებელი მოგონებებმა წაიღო.

რაც შეეხება თვითონ ამ თამაშს, კიდევ ვთქვათ და, მოედანზე დუეინ ვეიდი ბატონობდა. „მაიამის“ მეორე ლიდერს, 35 წლის შაკილ ონილს, სპორტულმა სიბერემ მოუკაკუნა და მორიგით მკლავებიდან ღონე გამოაცალა. ასეთ დროს კი სწორედ ვეიდმა უნდა ზიდოს ლიდერის ტვირთი. შაკმა კი „კლიპერსთან“ 33 წუთი ითამაშა და 8 ქულა და 8 მოხსნა გააკეთა. მან ვერ აჯობა კლიპერსელ ოპონენტს, ათი წლით უმცროს კრის კამანს, ვინც 14 ქულა და 12 მოხსნა გააკეთა. მაგრამ შაკიც და სხვა მაიამელებიც მაინც კმაყოფილები დარჩნენ, რაკი კამანი საშუალოდ 18,5 ქულასა და 13,6 მოხსნას აკეთებს და ამ სეზონში „კლიპერსს“ ლიდერად და ერთგვარ მხსნელადაც კი მოევლინა ელტონ ბრენდის დამტვრევის შემდეგ. ვეიდმა ამ თმებგამოხშირულ თეთრ გოლიათს ნამატჩევს მაინც უძღვნა ქების ერთი ულუფა — გადასარევი ბიჭია და წლეულს უცილობლად ეგ გახდება სეზონის ყველაზე გაუმჯობესებული მოთამაშე.

**კოტე ყორშია**

# ინდიანას წყევლა

## ჯამაალ ტინსლის ესროლეს

**ინდიანელი** ჯამაალ ტინსლი მორიგ შარში გაეხვა. იმის მაგივრად რომ ყველა პატიოსანი და პროფესიონალი კალათბურთელის დარად ლოგინში წოლილიყო, კვირას მას მთელი ღამე გაუთენებია, მეგობრებთან ერთად ბარიდან ბარში უხეტიალია. მთელი ეს „საძმო“ მოძრაობდა ტინსლის კუთვნილი სამი მანქანით — მერსედესით, როლს როისითა და დოჯით. ერთ-ერთი ბარიდან გამოსვლის და სასტუმროში შესვლის შემდეგ მათ გარედან სროლა აუტეხა ბარიდან მათ კვალზე გამოსულმა მავანმა კაცმა. იმ სროლაში რამდენიმე კაცი დაიჭრა და სასტუმროს ფოიეს არც ერთი მთელი მინა არ შერჩა, კალათბურთელი კი ამ სროლიდან მთელი და უვნებელი გამოვიდა.

ტყვიებს კი გადაურჩა, მაგრამ თავისი გუნდის ბოსებს ასე იოლად ვეღარ გადაურჩება ჯამაალ ტინსლი, რომელიც ბოლო 14 თვეში უკვე მესამედ მოხვდა ქუჩურ გარჩევებში. „ინდიანას“ პრეზიდენტი ლარი ბერდი ლამის გაგიჟებულია და ის და მწვრთნელი ჯიმ ობრაიენი ნბა-ში ვარსკვლავად ქცეულ, მაგრამ ქუჩას ვერმოწყვეტილ კალათბურელთან სერიოზულად დალაპარაკებას აპირებენ.

„ინდიანა“ თითქოს დაიწყევლა 2004 წლის შემოდგომას დეტროიტში მომხდარი გახმაურებული ჩხუბის შემდეგ. მაშინ ინდიანელებმა — რონ არტესტმა, სტივენ ჯეკსონმა და ჯერმენ ონილმა — „დეტროიტ პისტონზთან“ შეხვედრის დროს მეტოქის მაყურებლებს ტრიბუნაზე ხელჩართული ჩხუბი გაუმართეს. მას შემდეგ სამი წელი კი გავიდა, მაგრამ კლუბს თითქოს იმ დღიდან მოყოლებული თან სდევს ცუდი აურა. არტესტიც და ჯეკსონიც არაერთხელ არიან შემჩნეული მოედანსგარეთა „უწესრიგობებში“ — ხან მარიხუანას წევაში და ხან სროლა-ჩხუბებში. ჯეკსონმა ერთხელ შუა დისკოთეკაზე ჰაერში სროლა ატეხა. „ინდიანამ“ მოიშორა არტესტიც და ჯეკსონიც, ახლა კი ტინსლიმ წამოყო თავი.

„არ ვიცი, იქნებ შარმა თვითონ იპოვა ჯამაალი, მაგრამ აქ სხვა კითხვა იბადება: ღილით ოთხის ნახევარზე რატომ უნდა დაეხეტებოდეს ჩვენი მოთამაშე საეჭვო ადგილებში? — ამბობს „ინდიანას“ მწვრთნელი ჯიმ ობრაიენი — ჩვენ სერიოზულად ვაპირებთ მასთან დალაპარაკებას. ის ჩვენი კლუბის, ჩვენი ორგანიზაციის წევრი და წარმომადგენელია და უნდა იქცეოდეს კიდეც შესაბამისად“.

**კოტე ყორშია**



# ახალგაზრდებს თურქეთში თურქია წაიყვანსო

**საქართველოს** ხელბურთელთა ნაკრები „ჩელენჯ-ტროფის“ ფინალისთვის მზადებას განაგრძობს. ნაკრებთან ერთადაა ახალგაზრდული გუნდიც, რომელიც დღე-დღეზე უნდა გამოეყოს დიდებს და ცალკე მოემზადოს თურქეთში გასამართი ამხანაგური თამაშებისთვის. მოგეხსენებათ, 18 დეკემბერს ორივე ნაკრები თურქეთს ესტუმრება და 21-მდე სამ-სამ ამხანაგურს თამაშს ჩაატარებს. შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდულს მთავარი მწვრთნელი არ ჰყავს და ეს საკითხი უახლოეს პერიოდში უნდა გაირკვეს.

ამ პოსტზე გარი თურქიას კანდიდატურა მოიაზრება, რომელიც თბილისში ხუთშაბათს უნდა ჩამოვიდეს. რაც შეეხება ძირითად ნაკრებს, როგორც ჩანს, თურქეთში ლეგიონერთა ძალიან მცირე ნაწილს წაიყვანენ. ვლადიმერ რუსიას ფეხი უტკენია და ალბათ ორ კვირას ვერ ითამაშებს. აქედან გამომდინარე, მისი სათურქეთოდ ჩამოსვლა ძალიან საეჭვოა. იმასაც გეტყვით, რომ ნაკრები 20 იანვრის „ჩელენჯ ტროფის“ ფინალური თამაშისთვის ნორვეგიაში ჩასვლას მხოლოდ 19-ში მოახერხებს, რაც ფინანსური პრობლემებით არის განპირობებული. არადა, თავიდან ფედერაციას სურდა, რომ გუნდი იქ 3-4 დღით ადრე ჩაეყვანა და შეკრება მოეწყო.

**ლევან მაისურაძე**

## მსოფლიოს XVIII ჩემპიონატი

### ქალები. საფრანგეთი. 2-16 დეკემბერი

### მეორე ჯგუფური ეტაპი

**პირველი ჯგუფი (მეცი)**

ნორვეგია 35:29 ხორვატია

ანგოლა 33:25 მაკედონია

რუსეთი 31:20 საფრანგეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 4 | 0 | 0 | 123:98 | 8 |
| რუსეთი | 3 | 0 | 1 | 109:89 | 6 |
| ანგოლა | 3 | 0 | 1 | 122:112 | 6 |
| საფრანგეთი | 2 | 0 | 2 | 104:109 | 4 |
| ხორვატია | 0 | 0 | 4 | 108:127 | 0 |
| მაკედონია | 0 | 0 | 4 | 92:123 | 0 |

**მეორე ჯგუფი (დიჟონი)**

გერმანია 35:32 პოლონეთი

უნგრეთი 34:31 რუმინეთი

ესპანეთი 28:26 კორეა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 3 | 1 | 0 | 127:113 | 7 |
| რუმინეთი | 3 | 0 | 1 | 132:113 | 6 |
| უნგრეთი | 2 | 2 | 0 | 118:113 | 6 |
| ესპანეთი | 1 | 1 | 2 | 98:114 | 3 |
| კორეა | 1 | 0 | 3 | 116:124 | 2 |
| პოლონეთი | 0 | 0 | 4 | 124:138 | 0 |

# ესპანეთის მეტი შანსი

**მეორე** ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე სამეოთხედფინალო ერთი ვაკანტური ადგილისაა დარჩენილი. დღეს სამედლო გზას აქამდე უტიტულო ესპანეთი ან ექსჩემპიონი კორეა გააგრძელებს.

პირველ ჯგუფში ყველაფერი მანამდე უკვე გარკვეული იყო და ბოლოსწინა ტურის თამაშებს მთავარი ბრძოლის წინ გასავარჯიშებელი მნიშვნელობა ჰქონდა, მეორე ჯგუფში კი დიდი ომიები გაიმართა.

პირინველმა ხელბურთელებმა აზიელ კონკურენტებს უშუალო უმწვავეს დაპირისპირებაში აჯობეს — 28:26 (13:12) და დღეს ჯერაც უქულო პოლონეთის ძლევაც არ უნდა გაუჭირდეთ, კორეელ ქალებს კი კერკეტი მეტოქე ჰყავთ პლეიოფგანაღდებულ უნგრელთა სახით.

სწორედ უნგრელმა ტიმეა ტოტმა დაამყარა განვლილ ტურში საგოლე რეკორდი — რუმინელებს 13-ჯერ გაუტანა, მაგრამ მანამდე ხუთ მატჩში მხოლოდ 20 გოლი ებადა, ამდენად, სნაიპერთა სიაში მხოლოდ მე-13 პოზიციაზეა.

ყველაზე წინ კი ტოტის თანაგუნდელი ანიტა გიორბიცია 47 ზუსტი ნატყორცნით, რომელთაგან 23 პენალტით მიითვალა.

**გია ახალაძე**





## ჰაინეკენის თასი ჯგუფური ეტაპის მესამე ტური

# ქართველების კლერმონმა უქართველებოდ მოიგო

**ევროპულ** საკლუბო სარბიელზე ჰაინეკენის თასის გათამაშების მესამე ტურიც მოთავდა. მონაწილე სუპერკლუბებიდან მხოლოდ ორია ისეთი, რომელსაც სამივე ჯახი მოუგია და თავის ჯგუფში ერთპიროვნულადაც ლიდერობს. ესენი არიან „ლონდონ აირიში“ და „გლოსტერი“. ამ გუნდებს პირველ-მეორე ჯგუფებში უკავიათ მოწინავე პოზიციები.

ყველაზე საინტერესო ვითარება მეექვსე ჯგუფშია, სადაც ერთმანეთს კუდში მისდევენ „ტულუზი“, „ლესტერი“ და „ლენსტერი“. მათ შორის ბრძოლა სავარაუდოდ ბოლო ამოსუნთქვამდე გაგრძელდება, ჯგუფიდან გამსვლელებსაც ბოლო ჯახები გამოარკვევს.

ტურის უდაძაბულესი შეხვედრა იტალიაში გაიმართა. „ბენეტონ ტრევიზო“ ნიუპორტელ „დრაკონებს“ დაუხვდა და იტალიური რაგბის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გვარიანი ბრძოლა გაუმართა. უელსელები თავიდანვე დაწინაურდნენ — კოლინ შარვიზის კაპიტნობით და კერი სვენეის ჭკვიანური გარჯით დასაწყისშივე მიეძალნენ იტალიელებს და 33-ე წუთისთვის უკვე 18:6-ს იგებდნენ. პირველი ლელო მე-18 წუთზე შარვიზმა გაუტანა აპენინელებს. სვენეიც უზუსტესი გარდასახვა-საჯარიმოებით სისხლს უშრობდა დამხვდურთ. პირველი ნახევრის მიწურულს „დრაკონები“ 32:13 ანადგურებდნენ მეტოქეს და თითქოს ყველაფერი გარკვეული იყო, მაგრამ მეორე ტაიმში იტალიელებმა გამოიღვიძეს. ამას თან დაერთო უელსელ მორკინალ რენის ტომასის გაძევებაც. მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრე „ტრევიზო“ უკვე 32:30-ს იგებდა, მაგრამ მხსნელად უელსელებს ისევ სვენეი მოევლინა. მან გამარჯვების არეკნი მოინაგრა და მასპინძლებს ტურნირზე პირველი ოთხი ქულა ბოლო წუთებზე გამოჰგლიჯა ხელიდან.

ვარსკვლავებით გამოჭედილმა „სტად ფრანსემ“ მოკრძალებულად მოუგო „კარდიფ ბლუზს“ და ჯგუფში პირველ პოზიციაზე აინაცვლა. შეხვედრის დასაწყისში პარიზისაც ავისმომასწავლებლად იქუფრებოდა. იყო საშიშროება, რომ უამინდობის გამო შეხვედრა ჩაშლილიყო. ამ ფაქტორებმა სანახაობრივ მხარეზეც იმოქმედა. გუნდები ფონს მხოლოდ ჯარიმების ხარჯზე გავიდნენ. მატჩში იყო რამდენიმე ისეთი მომენტი, რითაც უელსელებს აუცილებლად უნდა ეხეირათ, მაგრამ ვერ ივარგეს.

დიმიტრი იაშვილთან ერთად და მის გარეშე „ბიარიცი“ რომ ორი სხვადასხვა გუნდია, შოტლანდიაშიც დამტკიცდა. „გლაზგომ“ უიაშვილო მომხვდურებს სამი ქულით მოუგო. ფრანგი ბასკების წინა ორი მოგებაც მეტწილად ტომით ქართველის დამსახურება გახლდათ, ახლა კი უმისოდ, საშინელ ფორმაში მყოფებს შოტლანდიური წვიმის თანხლებით გავეშებით მობურთალ გლაზგოელებთან ვეღარაფერმა უშველა.

ლეგენდარული მაიკლ ქეთის „ლონდონ აირიშმა“, როგორც უკვე ვთქვით, მესამე გამარჯვება იზეიმა ჯგუფის მეორეადგილოსან „პერპინიანთან“. ფრანგები პირველი ტაიმის შუაწელში დაისაჯნენ ლელოთი დაცვაში მოუწესრიგებელი თამაშის გამო. ამას ჰიუატმა უშეცდომო ჯარიმების კასკადი მოაყოლა. „პერპინიანი“ ბევრს ეცადა, მაგრამ 16 ქულაზე მეტს ვერ მოუყარა თავი და, როგორც თავად მოთამაშეები ამბობენ, ძალიან დასანანი მარცხი იწვნია.

ზირაქიშვილის და შველიძის „კლერმონმა“ შარშანდელი თასის მფლობელ „ვოფსს“ მოუგო, რომელსაც ლოურენს დალალიო კაპიტნობდა და ცხრილში გადაასწრო ინგლისელებს. შველიძე-სმიტი-ზირაქიშვილის ტრიოს არ უთამაშია, მაგრამ სამაგიეროდ მარტინ სკელზო და მარიო ლედესმა ამოუდგა ბურჯად ფრანგთა შერკინებას. „კლერმონიდან“ შეუჩერებელი იყო კაპიტანი აურლიენ რუჟერი. ზოგადად ფრანგებმა ბრწყინვალედ ითამაშეს და მათგან ძნელია რომელიმე მორაგბის გამორჩევა. შემდეგი ტური 14 დეკემბერს გაიმართება და ალბათ ჯგუფიდან გამოსვლელ-დამრჩენთა სიაც უპირატესად მაშინ გამოიკვეთება.

**ზურაბ მიგრიაული**

**I ჯგუფი**

**ტრევიზო 33:35 ნიუპორტი**

**ტრევიზო:** 3ლ: ბორხესი, დე გრეგორი, სგარბი; 3გ: გუსენი; 4ს: გუსენი
**ნიუპორტი:** 4ლ: შარვიზი, გომერ დევისი, მუსტო, ტომასი; 3გ: სვენეი; 2ს: სვენეი; ს: სვენეი

**ლონდონ აირიში 24:16 პერპინიანი**

**ლონდონ აირიში:** 1ლ: ქესეი; 1გ: ჰიუატი; 4ს: ჰიუატი
**პერპინიანი:** 1ლ: პლანტე; 1გ: პორიცალი; 3ს: პორიცალი

ლონდონ აირიში 14, პერპინიანი 9, ნიუპორტი 6, ტრევიზო 1

**II ჯგუფი**

**ბურგუენი 7:31 გლოსტერი**

**ბურგუენი:** 1ლ: ფარირი; 1გ: ბოიეტი
**გლოსტერი:** 4ლ: ალენი, ლამბი, სიმპსონ-დანიელი, ტიტერლი; 4გ: ლამბი; 1ს: ლამბი

**ოსპი 48:17 ალსტერი**

**ოსპი:** 7ლ: ბერნი, მარშალი, პარკერი, ტიატია, ვოლკერი, იუნ-ჯონსი (2); 5გ: ჰუკი; 1ს: ჰუკი
**ალსტერი:** 2ლ: ბოსი, დანიელი; 2გ: ვოლესი; 1ს: ვოლესი

გლოსტერი 14, ოსპი 9, ბურგუენი 5, ალსტერი 1

**III ჯგუფი**

**ჰარლიქვინზი 3:17 ბრისტოლი**

**ჰარლიქვინზი:** 1ს: კერი
**ბრისტოლი:** 3ლ: ერსკოტი, ლემი, ტოოალა; 1გ: ჰილი

**სტად ფრანსე 12:6 კარდიფი**

**სტად ფრანსე:** 4ს: ჰერნანდესი (2), სკრელა (2)
**კარდიფი:** 2ს: ბლეირი

სტად ფრანსი 9, ბრისტოლი 8, კარდიფ ბლიუზი 8, ჰარლიქვინზი 2VI ჯგუფი

**IV ჯგუფი**

**სარასენსი 71:7 ვიადანა**

**სარასენსი:** 9ლ: პაუჩტონი (3), ჰილი, ჯეკსონი, ჯონსონი, მატადიო, რატუვოუ (2); 9გ: ჯეკსონი; 1ს: ჯეკსონი
**ვიადანა:** 1ლ: ჰოვარდი; 1გ: ჰოვარდი

**გლაზგო 9:6 ბიარიცი**

**გლაზგო:** 3ს: პარკსი
**ბიარიცი:** 2ს: დუპუი

სარასენსი 11, გლაზგო 10, ბიარიცი 9, ვიადანა 1

**V ჯგუფი**

**კლერმონი 37:27 ვოფსი**

**კლერმონი:** 3ლ: ლედესმა, მალზიეუ, რუჟერი; 2გ: ჯეიმსი; 6ს: ჯეიმსი
**ვოფსი:** 3ლ: ჰესკოლი (2), პეინი; 3გ: ჩიპრიანი; 2ს: ჩიპრიანი

**სკარლეტზი 16:29 მანსტერი**

**სკარლეტზი:** 1ლ: კინგი; 1გ: პრაისტლენდი; 3ს: პრაისტლენდი
**მანსტერი:** 2ლ: ჰორანი, უოლესი; 2გ: ოჰარა; 5ს: ოჰარა

კლერმონი 9, ვოფსი 9, მანსტერი 6, სკარლეტზი 0

**VI ჯგუფი**

**ლენსტერი 28:14 ედინბურგი**

**ლენსტერი:** 3ლ: კონტეპომი, გლისონი, ჰეისლიფი; 2გ: კონტეპომი; 3ს: კონტეპომი
**ედინბურგი:** 1ლ: ჰიუსტონი; 3ს: ბლეირი, გუდმანი (2)

**ლესტერი 14:9 ტულუზი**

**ლესტერი:** 1ლ: სმიტი; 3ს: გუდი
**ტულუზი:** 3ს: კურენტი

ტულუზი 10, ლესტერი 9, ლენსტერი 8, ედინბურგი 1

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრთა საყურადღებოდ**

2007 წლის 14 დეკემბერს დანიშნული სეოკ-ის საანგარიშო სესია აღარ ჩატარდება.

*სეოკ-ის აღმასკომი*







ბენჯამინ რაიხმა და ნიკოლ ჰოსპმა სლალომის ეტაპები მოიგეს

# ქალია თუ კაცია, თავში ავსტრიელია

გასულ უქმეებზე „თეთრ ცირკად“ წოდებულ მთის მოთხილამურეთა მსოფლიოს თასზე მორიგი ეტაპები გაიმართება. ქალებმა ატლანტის ოკეანის გაღმა, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კოლორადოს სამთო კურორტ ასპენში სწრაფდაშვებასა და სლალომში გაარკვიეს ურთიერთობა და შემდეგ ევროპისკენ აიღეს გეზი, ხოლო კაცები ჩრდილოეთ ამერიკიდან ბებერ კონტინენტზე უფრო ადრე დაბრუნდნენ და ავსტრიულ ბად კლინკირხჰეიმში გიგანტურ სლალომსა და სლალომში გაეჯიბრნენ ერთმანეთს.

ასპენური სწრაფდაშვება საშინელ ნისლში ჩატარდა და ორი მოთხილამურე — ვეტერანი ავსტრიელი ალექსანდრა მაისნიტცერი და ფრანგი ანისოფი ბარტე — მძიმედაც დაშავდა. ეს ამბავი რომ შეიტყო, მსოფლიოს თასის ამჟამინდელმა მფლობელმა, ავსტრიელმა ნიკოლ ჰოსპმა ტრასაზე გასვლისგან თავი შეიკავა.

56 მონაწილიდან ფინიშს მხოლოდ ოცდაათმა უწია და გამარჯვება კი, თანაც კარიერაში პირველი, კანადელმა ბრიტ იანიკმა მოიპოვა, რომელმაც გვარიანად აჯობა ავსტრიელებს — მარლიზ შილდსა და რენატა გიოტჩლს. მასპინძელთა ფავორიტი ლინდსი კილდოუ მხოლოდ მეოთხე იყო, ხოლო საშინელ ფორმაში მყოფმა შვედმა ანია პერსონმა, სულაც მე-18 ადგილი დაიკავა.

მეორე დღისთვის ნისლი გაიფანტა, თანაც სლალომში სწრაფდაშვების მსგავსი სიჩქარეები არ არის და ჰოსპიც ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ჩაერთო შეჯიბრში. პირველი ცდის შემდეგ ის წამის სამ მეასედს კი აგებდა ფინელ ტანია პოუტიაინენთან, მაგრამ მეორე დაშვებისას ავსტრიელი უბადლო იყო და კარიერაში მეათედ გახდა მსოფლიოს თასის ეტაპის გამარჯვებული.

იქიდან გამომდინარე, რომ მარლიზ შილდმა ფინიშს ვერ უწია, ჰოსპმა თანამემამულესთან საერთო ჩათვლაში ჩამორჩენა 17 ქულამდე დაიყვანა. პერსონი კი, ვინც ჰოსპთან და შილდთან ერთად სეზონის მთავარ ფავორიტად ითვლებოდა, ოდენ მეცხრეა და ლიდერთან 160 ქულას აგებს.

კაცთა ბადკლინკირხჰეიმური შეჯიბრის პირველი დღე იტალიური გამოდგა — მასიმილიანო ბლარდონემ და მანფრედ მიოლგმა გიგანტურ სლალომში პირველ-მეორე ადგილები დაიკავეს. ბლარდონესთვის ეს კარიერაში მე-4 გამარჯვება იყო.

იტალიელებმა მეორე დღეს, სლალომის ტრასაზეც კარგად ისრიალეს და მიოლგმა, პატრიკ ტალერმა და კრისტიან დევილმა მესამე-მეხუთე ადგილები გაინაწილეს, თუმც დღის გმირი სულ სხვა იყო — ბენჯამინ რაიხმა მრავალათასიანი ქომაგების გასახარად შანსი არავის დაუტოვა, კარიერაში 30-ე გამარჯვება მოიპოვა და ამ გამარჯვებით გენერალურ კლასიფიკაციასაც სათავეში მოექცა.

აქვე ერთი, ცოტა დაგვიანებული ინფორმაციაც — რამდენიმე დღის წინ დიდი სპორტიდან წასვლის შესახებ განაცხადა სწრაფდაშვებაში ტურინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ანტუან დენერიაზმა. ფრანგის ტურინული ტრიუმფი უდიდეს სენსაციად იქნა მიჩნეული, რადგანაც არც მანამდე და არც მას შემდეგ ამ მოთხილამურეს ღირებული არაფერი გაუკეთებია.

და აი, 31 წლის ასაკში დენერიაზმა პენსიაზე გასვლა გადაწყვიტა. კაცმა რომ სიმართლე თქვას, ამით „თეთრი ცირკი“ ბევრსაც არაფერს დაკარგავს.

### მსოფლიოს თასი. კაცები. ბად კლინკირხჰეიმი. ავსტრია. 8-9 დეკემბერი

**გიგანტური სლალომი**

| | |
|---|---|
| 1. მასიმილიანო ბლარდონე (იტალია) | 2 წთ 10,75 წმ (1.07,87+1.02,88) |
| 2. მანფრედ მიოლგი (იტალია) | 2.10,84(1.07,83+1.03,01) |
| 3. ტედ ლიგეტი (აშშ) | 2.10,92(1.08,30+1.02,62) |
| 4. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 2.10,95(1.08,03+1.02,92) |
| 5. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) | 2.11,10(1.07,90+1.03,20) |

**სლალომი**

| | |
|---|---|
| 1. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 1 წთ 34,46 წმ (48,34+46,12) |
| 2. იენს ბიგმარკი (შვედეთი) | 1.35,12(48,58+46,54) |
| 3. მანფრედ მიოლგი (იტალია) | 1.35,18(48,69+46,49) |
| 4. პატრიკ ტალერი (იტალია) | 1.35,35(50,08+45,27) |
| 5. კრისტიან დევილი (იტალია) | 1.35,44(49,12+46,32) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 405 ქულა |
| 2. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) | 332 |
| 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 273 |
| 4. მანფრედ მიოლგი (იტალია) | 262 |
| 5. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 234 |

### მსოფლიოს თასი. ქალები. ასპენი. აშშ. 8-9 დეკემბერი

**სწრაფდაშვება**

| | |
|---|---|
| 1. ბრიტ იანიკი (კანადა) | 1 წთ 14,17 წმ |
| 2. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 1.14,59 |
| 3. რენატა გიოტჩლი (ავსტრია) | 1.14,63 |
| 4. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 1.14,68 |
| 5. მარტინა შილდი (შვეიცარია) | 1.14,70 |

**სლალომი**

| | |
|---|---|
| 1. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 1 წთ 34,60 წმ (46,13+48,47) |
| 2. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) | 1.35,79(46,10+49,69) |
| 3. კატრინ ცეტელი (ავსტრია) | 1.35,94(46,20+49,74) |
| 4. ტერეზა ბორსენი (შვედეთი) | 1.36,36(46,43+49,93) |
| 5. სარკა ზაჰროვსკა (ჩეხეთი) | 1.36,52(46,64+49,88) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 343 ქულა |
| 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 326 |
| 3. დენიზ კარბონი (იტალია) | 235 |
| 4. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) | 223 |
| 5. სარკა ზაჰროვსკა (ჩეხეთი) | 212 |

## ბარის თხილამურობა

### მსოფლიოს თასი. დავოსი. შვეიცარია. 8-9 დეკემბერი

**კაცები**

**15 კმ. ინდივიდუალური. კლასიკური**

| | |
|---|---|
| 1. აქსელ ტაიხმანი (გერმანია) | 38 წთ 43,6 წმ |
| 2. ოდ ბიორნ ჰელმესეტი (ნორვეგია) | 38.52,4 |
| 3. სამი იაუჰოიარვი (ფინეთი) | 38.54,9 |
| 4. ლუკაშ ბაუერი (ჩეხეთი) | 39.07,3 |
| 5. ეიდარ რონინგი (ნორვეგია) | 39.13,4 |

**ესტაფეტა 4X10 კმ**

| | |
|---|---|
| 1. ჩეხეთი (სპერლი, იაკში, კოუკალი, ბაუერი) | 1 სთ 35 წთ 40,6 წმ |
| 2. იტალია (ჩეჩი, ძორძი, დი ჩენტა, პილერ კოტრერი) | 1:35.40,6 |
| 3. შვედეთი (ჰელნერი, ოლსონი, ლარსონი, სოდერგრენი) | 1:35.41,1 |
| 4. ნორვეგია II (იონსრუდ სანდბი, სვარტედალი, ოსტენსენი, გერდალენი) | 1:35.42,5 |
| 5. ნორვეგია I (ჰელმესეტი, ჰეტლანდი, ნორტუგი, რონინგი) | 1:35.42,7 |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. აქსელ ტაიხმანი (გერმანია) | 260 ქულა |
| 2. ლუკაშ ბაუერი (ჩეხეთი) | 230 |
| 3. ეიდარ რონინგი (ნორვეგია) | 144 |
| 4. ტობიას ანგერერი (გერმანია) | 130 |
| 5. იოჰან კელსტადი (ნორვეგია) | 124 |

**ქალები**

**10 კმ. ინდივიდუალური. კლასიკური**

| | |
|---|---|
| 1. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი) | 27 წთ 27,3 წმ |
| 2. ვიბეკ სკოფტერუდი (ნორვეგია) | 27.38,2 |
| 3-4. აინო-კაისა საარინენი (ფინეთი) | 27.50,8 |
| 3-4. კრისტინ სტორმერ სტეირა (ნორვეგია) | 27.50,8 |
| 5. ანა ჰანსონი (შვედეთი) | 27.52,4 |

**ესტაფეტა 4X5 კმ**

| | |
|---|---|
| 1. ნორვეგია (მურერ სტემლანდი, სტეირა, სკოფტერუდი, იოჰაუგი) | 53 წთ 13,0 წმ |
| 2. გერმანია (ჰენკელი, ბოელერი, ცელერი, ზახენბახერი) | 53.17,4 |
| 3. რუსეთი (კურკინა, კოროსტელევა, როჩევა, ჩეპალოვა) | 53.25,6 |
| 4. ფინეთი (კუიტუნენი, მურანენი, როპონენი, საარინენი) | 53.25,8 |
| 5. შვედეთი (კალა, რუდკვისტი, დალბერგი, ჰანსონი) | 53.53,2 |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. მარიტ ბიორგენი (ნორვეგია) | 312 ქულა |
| 2. ვიბეკ სკოფტერუდი (ნორვეგია) | 212 |
| 3. პეტრა მაიდიჩი (სლოვენია) | 209 |
| 4. ასტრიდ იაკობსენი (ნორვეგია) | 200 |
| 5. იუსტინა კოვალჩიკი (პოლონეთი) | 156 |




ვირპი კუიტუნენმა ახალ სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა

## სათხილამურო ორჭიდი

### მსოფლიოს თასი. ტრონჰეიმი. ნორვეგია. 8-9 დეკემბერი

**გამოდევნება (2 ნახტომი HS 131 ტრამპლინიდან + 15 კმ)**

| | |
|---|---|
| 1. ბილ დემონგი (აშშ) | 38 წთ 54,9 წმ (მე-8 ადგილი ტრამპლინზე) |
| 2. ბიორნ კირხაიზენი (გერმანია) | +0,7 წმ (12) |
| 3. რონი აკერმანი (გერმანია) | +8,5 (6) |
| 4. ერიკ ფრენცელი (გერმანია) | +53,3 (3) |
| 5. დავიდ კრაინერი (ავსტრია) | +1.01,3 (5) |

**სპრინტი (1 ნახტომი HS 131 ტრამპლინიდან + 7,5 კმ)**

| | |
|---|---|
| 1. კრისტოფ ბილერი (ავსტრია) | 19 წთ 36,0 წმ (3 ადგილი ტრამპლინზე) |
| 2. ჯესონ ლამი შაპუი (საფრანგეთი) | +0,3 წმ (4) |
| 3. ბერნარდ გრუბერი (ავსტრია) | +2,4 (1) |
| 4. ერიკ ფრენცელი (გერმანია) | +7,1 (2) |
| 5. რონი აკერმანი (გერმანია) | +7,2 (15) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. რონი აკერმანი (გერმანია) | 255 ქულა |
| 2. ბიორნ კირხაიზენი (გერმანია) | 234 |
| 3. კრისტოფ ბილერი (ავსტრია) | 224 |
| 4. ბილ დემონგი (აშშ) | 206 |
| 5. ერიკ ფრენცელი (გერმანია) | 170 |



სადრინ ბაიი



ოლე ეინარ ბიორნდალენი

# ოლეს უკვე 77 და ფრანგის ავსტრიული დუბლი

ისვრის და თხილამურებით დარბის. შედარებით ცუდად ისვრის, მაგრამ თხილამურებზე ბრწყინვალედ დგას და აგროვებს გამარჯვებებს. უკვე 77 მოუგროვდა. აქედან 76 ზურგზე შაშხანაწამოკიდებულმა გამოჭედა (ერთი მოგება ბარის თხილამურობაშიც აქვს) და ნუ დაგვავიწყდება, რომ აქ არ იგულისხმება ესტაფეტებში მოპოვებული გამარჯვებები.

ოლე ეინარ ბიორნდალენზეა ლაპარაკი და ავსტრიულ ხოხფილცენში გამართული რბოლების შემდეგ დიად ნორვეგიელს 9 გამარჯვებაღა აშორებს ყველანაირი „თეთრი" სპორტის საყოველთაო რეკორდამდე, რომელიც მსოფლიოს თასის ეტაპებზე მოგებულ 86 შეჯიბრს უდრის და მთის თხილამურობის შვედ ლეგენდას, ინგემარ სტენმარკს ეკუთვნის.

ბიორნდალენს ხოხფილცენში ცოტა გაუჭირდა. წლეულს რუსები არნახულად ძლიერები არიან და 10 კილომეტრზე სპრინტად წოდებულ შეჯიბრში ნორვეგიელს დმიტრი იაროშენკომ 37,7 წამით აჯობა. მეორე დღეს 12,5 კილომეტრზე გამოდევნება იყო და ოლემ ეს არასრული 40 წამიც ამოიღო და იქით, თითქმის ნახევარი წუთით აჯობა რუსს. ბოლო, მეოთხე სასროლეთზე ნერვების თამაში იყო — ორივემ სამ-სამი სამიზნე დატოვა მთელი და თხილამურებით კი იაროშენკო ბიორნდალენის დამწევი არ იყო.

შემდეგ ესტაფეტა იყო და ოლეს თამადობით ნორვეგიელებმა ისევ აჯობეს რუსებს. საერთო ჩათვლაშიც ბიორნდალენი ლიდერობს, თუმც ზურგში იაროშენკოსა და მეორე რუსის, ივან ჩერეზოვის სუნთქვას გრძნობს.

ხოხფილცენური ეტაპის ქალთა ნახევარს კი თავისი გმირი ჰყავდა ფრანგი სანდრინ ბაიის სახით. ბაიიმ სპრინტიც მოიგო და გამოდევნებაც და თანაც ჯამში 30 სროლიდან მხოლოდ ერთი გააფუჭა და ამ გამარჯვებების შემდეგ გენერალური კლასიფიკაციის თავიდან გერმანელი მარტინა გლაგოვი დააქვეითა.

აღსანიშნავია, რომ პრიზიორთა კვარცხლბეკი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე ხალხმა შეავსო — რუსმა ეკატერინა იურევამ და გერმანელმა კატი ვილჰელმმა სპრინტში მეორე-მესამე ადგილები რომ დაიკავეს, ეს პოზიციები აღარც გამოდევნებით რბოლაში დათმეს.

**მსოფლიოს თასი. ხოხფილცენი. ავსტრია. 7-9 დეკემბერი**

**კაცები**

**სპრინტი. 10 კმ (2 სასროლეთი)**

| | |
|---|---|
| 1. დმიტრი იაროშენკო (რუსეთი) | 23 წთ 57,8 წმ (1 აცდენა) |
| 2. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 24.35,5 (2) |
| 3. ანდრეი მაკოვეევი (რუსეთი) | 24.48,8 (2) |
| 4. კარლ-იოჰან ბერგმანი (შვედეთი) | 24.53,0 (0) |
| 5. ივან ჩერეზოვი (რუსეთი) | 25.00,1 (2) |

**გამოდევნება. 12,5 კმ (4 სასროლეთი)**

| | |
|---|---|
| 1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 34 წთ 57,31 წმ (5 აცდენა) |
| 2. დმიტრი იაროშენკო (რუსეთი) | +28,7 წმ (5) |
| 3. დანიელ გრაფი (გერმანია) | +1.01,6 (0) |
| 4. ჰალვარდ ჰანევოლდი (ნორვენია) | +1.05,1 (0) |
| 5. კარლ-იუჰან ბერგმანი (შვედეთი) | +1.06,9 (3) |

**ესტაფეტა 4X7,5 კმ (2-2 სასროლეთი)**

| | |
|---|---|
| 1. ნორვეგია (სვენდსონი, ოსი, ჰანევოლდი, ბიორდალენი) | 1 სთ 18 წთ 31,2 წმ (0 საჯარიმო წრე და 6 დამატებითი ვაზნა) |
| 2. რუსეთი (ჩერეზოვი, ჩუდოვი, კრუგლოვი, იაროშენკო) | +2 წთ და 25,5 წმ (2 და 10) |
| 3. გერმანია (რიოში, გრაფი, პამპი, გრაისი) | +2.56,6 (0 და 9) |
| 4. საფრანგეთი (რობერი, ჟაი, ფურკადი, დეფრანი) | +3.16,2 (1 და 11) |
| 5. შვეიცარია (ჰალენბარტერი, ზიმენი, ბეკლი, იოლერი) | +3.33,4 (0 და 10) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 192 ქულა |
| 2. დმიტრი იაროშენკო (რუსეთი) | 185 |
| 3. ივან ჩერეზოვი (რუსეთი) | 159 |
| 4. ბიორნ ფერი (შვედეთი) | 129 |
| 5. ვენსან დეფრანი (საფრანგეთი) | 128 |

**ქალები**

**სპრინტი. 7,5 კმ (2 სასროლეთი)**

| | |
|---|---|
| 1. სადრინ ბაიი (საფრანგეთი) | 21 წთ 53,0 წმ (0 აცდენა) |
| 2. ეკატერინა იურევა (რუსეთი) | 22.11,8 (0) |
| 3. კატი ვილჰელმი (გერმანია) | 22.26,9 (0) |
| 4. ტორა ბერგერი (ნორვეგია) | 22.42,1 (1) |
| 5. საბრინა ბუხოლცი (გერმანია) | 22.44,8 (1) |

**გამოდევნება. 10 კმ (4 სასროლეთი)**

| | |
|---|---|
| 1. სადრინ ბაიი (საფრანგეთი) | 31 წთ 37,79 წმ (1 აცდენა) |
| 2. ეკატერინა იურევა (რუსეთი) | +31,4 წმ (4) |
| 3. კატი ვილჰელმი (გერმანია) | +32,6 (1) |
| 4. მაგდალენა ნოინერი (გერმანია) | +55,5 (2) |
| 5. მარტინა გლაგოვი (გერმანია) | +1.02,0 (2) |

**ესტაფეტა 4+6 კმ (2-2 სასროლეთი)**

| | |
|---|---|
| 1. გერმანია (გლაგოვი, ჰენკელი, დენკინგერი, ვილჰელმი) | 1 სთ 23 წთ 35,0 წმ (0 საჯარიმო წრე და 10 დამატებითი ვაზნა) |
| 2. რუსეთი (სლეპცოვა, ანისიმოვა, მოისეევა, იურევა) | +19,3 წმ (0 და 10) |
| 3. შვედეთი (ჰორბერგი, ოლოფსონი, ნილსონი, იონსონი) | +20,3 (0 და 5) |
| 4. საფრანგეთი (პერეტო, ბრიუნე, ბეკარი, ბაიი) | +29,0 (0 და 9) |
| 5. ჩინეთი (დონგი, ლიუ, ვანგი, იინი) | +1.55,0 (0 და 8) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. სადრინ ბაიი (საფრანგეთი) | 198 ქულა |
| 2. მარტინა გლაგოვი (გერმანია) | 194 |
| 3. კატი ვილჰელმი (გერმანია) | 176 |
| 4. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) | 159 |
| 5. ეკატერინა იურევა (რუსეთი) | 149 |



NHL

რეგულარული ჩემპიონატი

# კოლორადო მეათასედ აზეიმდა

2007-2008 წლების რეგულარული ჩემპიონატის მესამედზე მეტი მიილია — გუნდების უმეტესობამ 30-მატჩიან ნიშნულს უწია და ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი თანაბარი სეზონი ნჰლ-ში კარგა ხანია, არ ყოფილა. ამის დასტურად ისიც ამარა, რომ ყველა დივიზიონში არნახული სიმჭიდროვეა და ხშირად ლიდერსა და აუტსაიდერს 4-5 ქულა აშორებს.

დღეს სწორედ დივიზიონებში არსებულ მდგომარეობას გადავავლოთ თვალი.

აღმოსავლეთის კონფერენციით დავიწყოთ და პირველად ატლანტიკურ დივიზიონში არსებული მდგომარეობა განვიხილოთ — მოულოდნელად, აქ „ნიუ ჯერსი" ლიდერობს. მოულოდნელად იმიტომ, რომ „ეშმაკებმა" სეზონი საზიზღრად დაიწყეს. თუმც მარტინ ბროდო თანდათან თავის საკადრის დონეზე ათამაშდა, გონზე მოვიდნენ გუნდის ლიდერები პატრიკ ელიაში და ბრაიან ჯიონტაც და წლეულს ისტ-რუტერფორდიდან ნიუიორკში გადაბარგებულმა გუნდმა 9-მატჩიანი მოგებათა სერიაც გამოაცხო, რომელიც გუშინ „რეინჯერსმა" შეწყვიტა. ის „ეშმაკებს" კვალში უდგას და მხოლოდ ქულით ჩამორჩება.

ჩრდილო-აღმოსავლეთის დივიზიონს უდავო ლიდერი ჰყავს „ოტავას" სახით -- დანარჩენი ოთხი გუნდი კი დაახლოებით თანაბარი დონისაა და მათ შორის ნაღდი ომი მიმდინარეობს. ამათგან ბოლო ხანებში საქმეები კარგად „ბოსტონს" წაუვიდა, მაშინ, როცა „მონრეალმა" ბოლო 8-დან 7 შეხვედრა წააგო.

გამოკვეთილი ლიდერი ჰყავს სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონსაც — აქ სტეილის თასის შარშანწინდელ მფლობელ „კაროლინას" პირველობას სავარაუდოდ ვერავინ ეჭვქვეშ აყენებს — თუმცა ეჭვქვა ვინმე შეეცილოს. სამაგიეროდ, გამოსაყოფია „ატლანტა", რომელიც ილია კოვალჩუკის წყალობით, ნელნელა ჭაობიდან ამოდის.

არანაკლებ დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობს დასავლეთ კონფერენციაშიც. აქ აშკარა ლიდერი მხოლოდ ცენტრალურ დივიზიონს ჰყავს, სადაც „დეტროიტის" ჰეგემონიას ისევ არაფერი ემუქრება. თანაც „წითელფრთიანები" მთელ ლიგაში საუკეთესონი არიან და გასაკვირი არაა, დივიზიონსაც დამაჯერებლად რომ ლიდერობენ.

სამაგიეროდ, ჩრდილო-დასავლურ დივიზონშია ისეთი ამბები, დედა შვილს არ აიყვანს. იქ ახლა „ვანკუვერი" გაპირველებულა, რაც მთლიანად გუნდის სუპერკიპერ რობერტო ლუონგოს დამსახურებაა, რომელიც ნოემბერ-დეკემბრის გასაყარზე გოლებს თითქმის აღარ უშვებს. ნელნელა ისწორებს მდგომარეობას კაპიტან ჯო საკიკის გარეშე მოთამაშე „კოლორადო". გუშინ „ზვავებმა" თავის ისტორიაში (აქ „კვებეკიც" იგულისხმება) მე-1000 გამარჯვება მოიპოვეს და ეს ძალიან შთამბეჭდავად გააკეთეს, როცა სახლში „სენტ ლუისს" 9:5 გადაუხდინეს.

წყნაროკეანურ დივიზიონში ლიდერთა სამეული გამოიყო — აქ მთავარი მომქედი პირები „დალასი", „სან ხოსე" და მოქმედი ჩემპიონი „ანაჰაიმი" იქნებიან. ჯერჯერობით პირველი ორი გუნდის საქმეები უკეთ მიდის, მაგრამ „იხვები" მათ მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩებიან — ხოლო კაპიტან სკოტ ნიდერმაიერის დაბრუნების შემდეგ კი, რაც ერთი-ორ კვირაში უნდა მოხდეს), უეჭველად დივიზიონის მოგების მთავარ პრეტენდენტებადაც გადაიქცევიან.

**ბახა ლომაშვილი**

**9 დეკემბერი**

**რეინჯერსი 1:0 ნიუ ჯერსი**

*0:0 0:0 0:0 1:0 (ოვერტაიმში)*

1:0 შენაჰენი (61)

**დეტროიტი 5:2 კაროლინა**

*1:0 2:2 2:0*

1:0 ფილპულა (5), 1:1 კოული (21), 2:1 ფრანცენი (27), 2:2 კოული (31), 3:2 ლილია (33), 4:2 დაციუკი (38), 5:2 ჰოლმსტრომი (58)

**ჩიკაგო 2:3 კალგარი**

*1:0 0:1 1:2*

1:0 ლანგი (11), 1:1 ნოლანი (28), 1:2 სარიჩი (52), 1:3 ლენგკოუ (54), 2:3 ბაიფულენი (55)

**კოლორადო 9:5 სენტ ლუისი**

*1:1 5:1 3:3*

0:1 მაკლემენტი (11), 1:1 ჰეიდუკი (16), 2:1 ჰეიდუკი (26), 2:2 მაკლემენტი (26), 3:2 შჩასტნი (31), 4:2 ვოლსკი (32), 5:2 კლარკი (35), 6:2 სმიტი (38), 6:3 უაიტი (41), 6:4 პერონი (42), 7:4 შჩასტნი (48), 8:4 ჰეიდუკი (53), 9:4 ვოლსკი (55), 9:5 სტემპნიაკი (60)



**მსოფლიოს თასი. ტრონჰეიმი. ნორვეგია. 8-9 დეკემბერი**

**პირადი HS 131**

| | |
|---|---|
| 1. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 275,7 ქულა (133,0 მ და 131,0 მ) |
| 2. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 269,8(134,0 და 129,5) |
| 3. ტომ ჰილდე (ნორვეგია) | 268,2(131,0 და 130,5) |
| 4. იანე აჰონენი (ფინეთი) | 261,9(130,0 და 128,0) |
| 5. იარნეი დამიანი (სლოვენია) | 161,5(130,5 და 127,0) |

**პირადი HS 131**

| | |
|---|---|
| 1. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 269,6 ქულა (134,0 მ და 128,0 მ) |
| 2. ანდრეას კოფლერი (ავსტრია) | 255,2 (124,0 და 130,0) |
| 3. ვოფგანგ ლოიტცლი (ავსტრია) | 248,0 (123,5 და 126,5) |
| 4. ბიორნ ეინარ რომორენი (ნორვეგია) | 247,5 (127,0 და 123,0) |
| 5. იარნი დამიანი (სლოვენია) | 246,9 (125,0 და 125,5) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 300 ქულა |
| 2. ტომ ჰილდე (ნორვეგია) | 160 |
| 3. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 159 |
| 4. ბიორნ ეინარ რომორენი (ნორვეგია) | 141 |
| 5. ვოლფგანგ ლოიტცლი (ავსტრია) | 110 |

# ალონსო, რენო და ბევრი ფული


ფერნანდო ალონსო ფლავიო ბრიატორეს გუნდში დაბრუნდა

**ესპანურმა** „ელ მუნდომ“ გუშინ დაუდასტურებელი ინფორმაცია გაავრცელა „მაკლარენ-მერსედესიდან“ წასული ფერნანდო ალონსოს „რენოსთან“ კონტრაქტის შესახებ. ამბობენ, ორგზის ჩემპიონი მეფორმულე თავის ძველ გუნდში 2008 წელს 58 მილიონ დოლარს მიიღებსო.

ბრიტანული „ტაიმსი“ სხვა ციფრებს ასახელებს, მსოფლიოს ექსგვირგვინოსანი ესპანელის კონტრაქტი სამწლიანია, რომლის საერთო ღირებულებაც 100 მილიონ ევროს აჭარბებსო.

გუშინ საღამოს ფერნანდო ალონსომ თავის ვებ-გვერდზე ოფიციალურად დაადასტურა „რენოში“ დაბრუნების ფაქტი.



# სარეიტინგო ადი-ჩადი


სოფო ქვაცაბაია

**ორშაბათს** პროფესიონალ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგები გამოქვეყნდა და მათში კვლავაც 14 ჩვენებურია — ოთხი კაცი და ათი ქალი. წინა კლასიფიკაციებთან შედარებით, ქართველების მდგომარეობა თითქმის უცვლელი დარჩა, თუმც ორის ამბავი მაინც გამოვყოთ, რადგანაც მანანა შაფაქიძემ და სოფო ქვაცაბაიამ, შესაბამისად, 3 და 12 პოზიცია მოიგეს და კარიერის უმაღლეს ადგილებს უწიეს.

**კაცები**

366 (-5) ლადო ჩიხლაძე ---------------------------- 94
1211 (-6) ნოდარ ითონიშვილი ---------------------- 4
1480 (0) გიორგი ხრიკაძე --------------------------- 1
1880 (0) გიორგი ჭანტურია ------------------------- 1

**ქალები**

186 (0) მაკა ჩახნაშვილი --------------------------- 160,0
277 (-2) ანა ტატიშვილი ---------------------------- 92,0
409 (-2) სოფო შაფათავა --------------------------- 46,0
509 (-2) თინა ყავლაშვილი ------------------------- 31,0
591 (-1) სალომე დევიძე ---------------------------- 22,0
608 (+3) მანანა შაფაქიძე -------------------------- 21,0
643 (-1) ოქსანა კალაშნიკოვა ---------------------- 18,0
689 (+12) სოფო ქვაცაბაია ------------------------- 16,0
801 (-2) ეკა გორგოძე ------------------------------ 10,0
841 (-2) სოფო მელიქიშვილი ----------------------- 9,0

# დაიწყეს და დაამთავრეს

**წლის** მიწურულს ოდენ პატარა ტურნირებიღა იმართება ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით და მათზე აქა-იქ ქართველებიც თამაშობენ. ერთ-ერთი ასეთი შეჯიბრი, რომლის საპრიზო ფონდიც 25 ათასი დოლარია, ამ დღეებში ჩეხური ვალასკი მეზირიჩის მაგარსაფარზე მიმდინარეობს. იქ ორი ჩვენებური — სოფო შაფათავა და თინა ყავლაშვილი — კვალიფიკაციიდან ცდილობდა ძირითად ბადეში მოხვედრას.

შაფათავა და ყავლაშვილი კვალიფიკანტთა შორის, შესაბამისად, პირველ და მერვე ნომრებად იყვნენ განთესილები, მაგრამ პირველივე წრეში რანგით დაბლა მყოფ მეტოქეებთან დამარცხდნენ. შაფათავას 6:3 7:5 მოუგო 17 წლის ურეიტინგო სლოვაკმა ლენკა იურიკოვამ, ხოლო ყავლაშვილს 7:5 7:5 სძლია 24 წლის ახალზელანდიელმა დიანა ჰოლანდსმა, ვისაც კლასიფიკაციაში 767-ე ადგილი უკავია.


სოფო შაფათავა



**დიდი ბრიტანეთის ჩემპიონატი**
**ტელფორდი. ინგლისი. 8-13 დეკემბერი**


შარშანდელი ჩემპიონი პიტერ ებდონი პირველივე წრეში დამარცხდა

# ძველთა გვემა

**დიდი ბრიტანეთის** ჩემპიონატი სნუკერის სამყაროში თავისი მნიშვნელობითა და პრესტიჟით, ოდენ მსოფლიოს ჩემპიონატს ჩამორჩება. აქ პირველივე წრეში, თამაში 9 მოგებამდე მიდის და შესაბამისად, საპრიზო ფონდიც მსუყეა და სარეიტინგო ქულებიც გვარიანი. 2007-08 წლების სეზონის კალენდარში ბრიტანეთის ჩემპიონატი რიგით მეოთხე სარეიტინგო ტურნირია, თუმც გაცილებით აღემატება აქამდე გამართულ სამს — „შანხაის მასტერსს“, შოტლანდიურ „დიდ პრიზს“ და ჩრდილოეთ ირლანდიის თასს.

ბუკმეიკერთა ფავორიტი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ინგლისელი რონი ოსალივანია, ხოლო მეორე ადგილზე ჩინელი დინ ჯუნხუაა დაყენებული. თუმცა, სატურნირო ბადის შედგენისას ბუკმეიკერთა აზრებს არ ითვალისწინებენ და ბადის თავში, ანუ პირველ ნომრად, ტრადიციულად ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული დგას, ხოლო ბოლოში, ანუ მეორე ნომრად — მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი.

მსოფლიოს ჩემპიონი შოტლანდიელი ჯონ ჰიგინსია, ხოლო პირველი ნომერი მსოფლიოს ექსჩემპიონი, ინგლისელი პიტერ ებდონი იყო. დიახ, იყო, რადგანაც ებდონმა პირველივე წრეში სენსაციურად წააგო თავის თანამემამულე აიან მაკალოჰთან. არადა, თანამედროვე სნუკერის საუკეთესო ტაქტიკოსად მიჩნეული ებდონი ხუთი ფრეიმის შემდეგ 5:0-ს იგებდა, მაგრამ შემდეგ ყველაფერი შეტრიალდა და მაკალოჰმა დრამატულ ბრძოლაში 9:8 აჯობა ტიტულოვან მეტოქეს.

და საერთოდაც, ბადის ზედა ნახევარში მსოფლიოს ექვსი ექსჩემპიონი იყო და მეორე წრეში მხოლოდ ორნი — ინგლისელი შონ მერფი და უელსელი მარკ უილიამსი გავიდნენ. მერფიმ უპრობლემოდ, 9:5 სძლია უელსელ პოლ დევისს, ხოლო უილიამსმა კიდევ უფრო დამაჯერებლად — 9:3 დაჯაბნა თავისი თანამემამულე რიკი უოლდენი და შეწყვიტა შვიდტურნირიანი სერია, რომლის დროსაც ის პირველივე თამაშში მარცხდებოდა.

სხვა ძველ ჩემპიონებს კი ებდონის მსგავსად ხელი მოეცარათ. ახალგაზრდა ირლანდიელმა მარკ ალენმა, რომელმაც წინა სარეიტინგო ტურნირზე, „ჩრდილოეთ ირლანდიის თასზე“ ნახევარფინალს უწია, 9:4 გაანადგურა შვიდგზის ჩემპიონი სტივ ჰენდრი და კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ დიადი შოტლანდიელის საუკეთესო წლები წარსულს ჩაბარდა; ექვსგზის ჩემპიონი და მიმდინარე შეჯიბრის უხუცესი მონაწილე, ინგლისელი სტივ დევისი მისივე თანამემამულემ, სტიუარტ ბინგჰემმა 9:4 დაჩაგრა, ხოლო ირლანდიელ ექსჩემპიონ კენ დოჰერტის კიდევ ერთმა ინგლისელმა ნაიჯელ ბონდმა 9:7 სძლია.

მეორე წრეში გავიდნენ ჯუნხუ და „ჩრდილოეთ ირლანდიის თასის“ მომგები შოტლანდიელი სკოტ მაგუაერი. ჩინელმა უპრობლემოდ — 9:3 მოუგო ინგლისელ ელიან განელს, ხოლო მაგუაერმა 9:5 აჯობა ირლანდიელ ჯო სვეილს. შედეგად, ბადის ზედა ნახევარში შემდეგი მერვედფინალური წყვილები მივიღეთ: მაკალოჰი — მაგუაერი, უილიამსი — ალენი, ბონდი — ჯუნხუ, ბინგჰემი — მერფი. რაც შეეხება ბადის ქვედა ნახევარს, იქ პირველ ორ სათამაშო დღეს მხოლოდ ერთი თამაში დასრულდა — ინგლისელების, მარკ კინგისა და სტივენ ლის დრამატულ დუელში კინგმა 9:8 იმარჯვა.


**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გიორგი ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, თამაზ მიგრიაული, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
სარეკლამო სამსახური: შალვა ციხელაშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიძე, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზეიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge